



თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №08

23 მარტი 2018 წ.

ქ. თელავი

თელავის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის
შესრულების ანგარიშის
შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

1. თელავის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში (თან ერთის) შეფასდეს დამაკმაყოფილებლად.
2. თელავის მუნიციპალიტეტის მერიას დაევალოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის რეკომენდაციების შესრულებაზე კონტროლის განხორციელება.
3. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია თელავის რაიონულ სასამართლოში მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში (ქ. თელავი, დავით აღმაშენებლის №41).

საკრებულოს თავმჯდომარე



არჩილი თხლაშიძე

**თვითმმართველი ქალაქი თელავის მუნიციპალიტეტის
2017 წლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ**

თვითმმართველი ქალაქი თელავის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტი დამტკიცებულ იქნა 2016 წლის 26 დეკემბერს და ბიუჯეტი განისაზღვრა 10460,9 ათასი ლარის ოდენობით. 2017 წლის განმავლობაში განხორციელდა ცვლილებები - წლის დასაწყისისათვის არსებული ნაშთის 1459,8 ათ.ლარის გადასახდელებში ასახვით (მ.შ. 187,675 ათ.ლარი საქართველოს მთავრობის 20,01,2015 წლის #39 განკარგულებით - საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ წლის დასაწყისისათვის არსებული ნაშთი, 32,75835 ათ.ლარი - საქართველოს მთავრობის 2016 წლის 04 თებერვლის #175 განკარგულებით საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხა, ქალაქ თელავის მუნიციპალიტეტში სოციალური სახლის მოწყობის პროექტის განსახორციელებლად გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისაგან მიღებული გრანტი - 65,32732 ათ.ლარი), საქართველოს მთავრობის 2017 წლის 14 მარტის #480 განკარგულებით საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხის (4025,74 ათ.ლარი) შემოსულობებში და გადასახდელებში ასახვით, საკუთარი შემოსულობების (839,36 ათ.ლარი) გაზრდით. გაიზარდა ბიუჯეტი 245,58 ათ.ლარით საქართველოს მთავრობის 2017 წლის 06 ივლისის #1401 განკარგულებით საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხის საფუძველზე; შემცირდა 189,37 ათ.ლარით საქართველოს მთავრობის 2017 წლის 22 ივნისის #1280 განკარგულებით საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 14 მარტის #480 განკარგულებაში ცვლილების შეტანის საფუძველზე; შემცირდა ბიუჯეტი 93,39 ათ.ლარით საქართველოს მთავრობის 2017 წლის 15 აგვისტოს #1705 განკარგულებით საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხის საფუძველზე (შემცირდა 453,39 ათ.ლარით (ტენდერების შედეგად დარჩენილი ეკონომიის საფუძველზე), გაიზარდა 360,0 ათ.ლარით ქ.თელავში ალაზნის გამზირის მიმდებარედ მშენებარე მულტიფუნქციური სპორტული კომპლექსისათვის გარე მიწისქვეშა საკომუნიკაციო ქსელების მოწყობისათვის)), აგრეთვე გაიზარდა ბიუჯეტი 353,57 ათ.ლარით, ფაქტიური საკუთარი შემოსავლების გათვალისწინებით, საქართველოს მთავრობის 2017 წლის 24 ნოემბრის #2466 განკარგულებით საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 14 მარტის #480 განკარგულებაში ცვლილების შეტანის საფუძველზე (შემცირდა 19,792 ათ. ლარი); საქართველოს მთავრობის 2017 წლის 22 ნოემბრის #2460 განკარგულებით საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 06 ივლისის #1401 განკარგულებაში ცვლილების შეტანის საფუძველზე (შემცირდა 50,413 ათ. ლარით); საქართველოს მთავრობის 20 ოქტომბრის N471 დადგენილების, 2017 წელს შექმნილი მუნიციპალიტეტების დროებითი ბიუჯეტების შედგენის წესის დამტკიცების შესახებ, ნაშთით დაბალანსებით 350,513 ათ. ლარით და ქალაქი თელავის მუნიციპალიტეტის 2017 წლის დაზუსტებული ბიუჯეტი განისაზღვრა 17382.58 ათ.ლარით.

დასახელება	2017 წლის გეგმა			2017 წლის ფაქტი		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	15 426,19	3 918,35	11 507,84	15 410,29	3 781,82	11 628,47
გადასახადები	2 550,00	0,00	2 550,00	2 415,18	0,00	2 415,18
გრანტები	10 900,45	3 918,35	6 982,10	10 744,70	3 781,82	6 962,88
სხვა შემოსავლები	1 975,74	0,00	1 975,74	2 250,40	0,00	2 250,40
ხარჯები	8 131,69	0,00	8 131,69	7 665,00	0,00	7 665,00
შრომის ანაზღაურება	1 376,91	0,00	1 376,91	1 246,54	0,00	1 246,54
საქონელი და მომსახურება	2 155,65	0,00	2 155,65	1 993,20	0,00	1 993,20
ძირითადი კაპიტალის მომსახურება	0,00	0,00	0,00	0,00	0,00	0,00
პროცენტი	99,89	0,00	99,89	99,89	0,00	99,89
სუბსიდიები	3 681,15	0,00	3 681,15	3 632,43	0,00	3 632,43
გრანტები	17,08	0,00	17,08	17,08	0,00	17,08
სოციალური უზრუნველყოფა	526,90	0,00	526,90	407,41	0,00	407,41
სხვა ხარჯები	274,12	0,00	274,12	268,46	0,00	268,46
საოპერაციო სალდო	7 294,49	3 918,35	3 376,14	7 745,29	3 781,82	3 963,47
არაფინანსური აქტივების ცვლილება	8 845,62	4 106,03	4 739,59	6 222,07	2 930,38	3 291,69
ზრდა	8 991,62	4 106,03	4 885,59	6 405,89	2 930,38	3 475,51
კლება	146,00	0,00	146,00	183,82	0,00	183,82
მთლიანი სალდო	-1 551,13	-187,68	-1 363,45	1 523,22	851,44	671,78
ფინანსური აქტივების ცვლილება	-1 810,40	-220,43	-1 589,96	1 307,29	851,44	455,84
ზრდა	0,00	0,00	0,00	1 307,29	851,44	455,84
ვალუტა და დეპოზიტები	0,00			1 307,29	851,44	455,84
ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	0,00	0,00	0,00	0,00	0,00	0,00
სესხები	0,00	0,00	0,00	0,00	0,00	0,00
აქციები და სხვა კაპიტალი	0,00	0,00	0,00	0,00	0,00	0,00

დასახელება	2017 წლის გეგმა			2017 წლის ფაქტი		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
სადაზღვევო ტექნიკური რეზერვები	0,00	0,00	0,00	0,00	0,00	0,00
წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	0,00	0,00	0,00	0,00	0,00	0,00
სხვა დებიტორული დავალიანებები	0,00	0,00	0,00	0,00	0,00	0,00
კლება	1 810,40	220,43	1 589,96	0,00	0,00	0,00
ვალუტა და დეპოზიტები	1 810,40	220,43	1 589,96	0,00		
ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	0,00	0,00	0,00	0,00	0,00	0,00
სესხები	0,00	0,00	0,00	0,00	0,00	0,00
აქციები და სხვა კაპიტალი	0,00	0,00	0,00	0,00	0,00	0,00
სადაზღვევო ტექნიკური რეზერვები	0,00	0,00	0,00	0,00	0,00	0,00
წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	0,00	0,00	0,00	0,00	0,00	0,00
სხვა დებიტორული დავალიანებები	0,00	0,00	0,00	0,00	0,00	0,00
ვალდებულებების ცვლილება	-259,27	-32,76	-226,51	-215,94	0,00	-215,94
ზრდა	0,00	0,00	0,00	0,00	0,00	0,00
საგარეო	0,00	0,00	0,00	0,00	0,00	0,00
საშინაო	0,00	0,00	0,00	0,00	0,00	0,00
კლება	259,27	32,76	226,51	215,94	0,00	215,94
საგარეო	0,00	0,00	0,00	0,00	0,00	0,00
საშინაო	259,27	32,76	226,51	215,94	0,00	215,94
ბალანსი	0,00	0,00	0,00	0,00	0,00	0,00

ფაქტიური შემოსულობების მიხედვით:

საშემოსავლო გადასახადიდან 2017 წლის 12 თვის განმავლობაში შემოვიდა 1153.73 ათ. ლარი. დაგეგმილი იყო 1280.0 ათ.ლარი და გეგმა შესრულდა 90.14%-ით.

ქონების გადასახადიდან შემოვიდა 1261.45 ათ. ლარი. დაგეგმილი იყო 1270.0 ათ.ლარი და გეგმა შესრულდა 99.33%-ით.

მათ შორის - საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა) გადასახადიდან შემოვიდა 865.5 ათ. ლარი;

- ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადიდან შემოსულია 42.06 ათ.ლარი;
- სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გადასახადიდან შემოვიდა 4.17 ათ. ლარი;
- არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გადასახადიდან შემოვიდა 344.53 ათ. ლარი;

გრანტებიდან მიღებული შემოსავლები შესრულდა 98.57%-ით, დაგეგმილი იყო 10900.45 ათ.ლარი ფაქტმა შეადგინა 10744.7 ათ.ლარი,

- მათ შორის
- გათანაბრებითი ტრანსფერი – 100 %-ით, გეგმა 6820.10 ათ.ლარი, ხოლო ფაქტი 6820.10 ათ.ლარი.
 - მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად – 88.14%-ით, გეგმა 162,0 ათ.ლარი, მიღებულმა საკასო შემოსავალმა შეადგინა 162,0 ათ. ლარი, ხოლო ფაქტიურად აისახა 142.78 ათ.ლარი. სხვაობა (19,22 ათ. ლარი) გამოწვეულია 2016 წლის მიზნობრივი ტრანსფერიდან დარჩენილი ნაშთის სახელმწიფო ბიუჯეტში დაბრუნებით.
 - ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერი - გეგმა შესრულდა 96.52%-ით, დაგეგმილი იყო 3918.35 ათ.ლარი, ხოლო ფაქტი შეადგენს 3781.82 ათ.ლარს.

სხვა შემოსავლების გეგმა შესრულდა 113.9%-ით, დაგეგმილი იყო 1975.74 ათ.ლარი, ხოლო ფაქტმა შეადგინა 2250.4 ათ.ლარი:

აქედან: შემოსავლები საკუთრებიდან შემოსავალმა შეადგინა 217.24 ათ.ლარი მ.შ.:

პროცენტებიდან მიღებულმა შემოსავალმა 12 თვის განმავლობაში 129.72 ათ.ლარი.

მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის შეადგინა 28.03 ათ.ლარი;

მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 59.49 ათ. ლარი.

საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია - გეგმა შესრულდა 107.35%-ით, დაგეგმილი იყო 1581.74 ათ.ლარი, ხოლო ფაქტმა შეადგინა 1697.98 ათ.ლარი აქედან:

სანებართვო მოსაკრებლიდან შემოვიდა 12.99 ათ.ლარი. დაგეგმილი იყო 14.0 ათ.ლარი, გეგმა შესრულდა 92.82%-ით;

სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებლიდან შემოვიდა 1.8 ათ.ლარი.

სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლიდან შემოვიდა 1534.0 ათ.ლარი. გეგმა შესრულდა 107.05%-ით;

მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის შემოსავალმა შეადგინა 114.15 ათ. ლარი. დაგეგმილი იყო 115,0 ათ.ლარი და შესრულდა 99.26%-ით.

შემოსავალმა მომსახურების გაწევიდან შეადგინა 35.04 ათ.ლარი, გეგმა შესრულდა 197.94 %-ით, გეგმა შეადგენდა 17.7 ათ.ლარს.

ჯარიმებიდან და საურავებიდან შემოსავლების გეგმა შესრულდა 133.47%-ით. მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 333.67 ათასი ლარი.

შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლებიდან მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 1.51 ათასი ლარი.

შემოსავალმა არაფინანსური აქტივების კლებიდან შეადგინა 183.82 ათ.ლარი, გეგმა შესრულდა 125.9%-ით, მ.შ. 6.38 ათ.ლარი - შემოსულობა სახელმწიფო არასაცხოვრებელი შენობების გაყიდვიდან, რომლებიც განლაგებულია ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების (გარდა ა/რესპუბლიკების ადგილ. თვითმ. ერთეულებისა) ტერიტორიაზე და სახელმწიფოს სარგებლობაშია; 5,2 ათ. ლარი - შემოსულობა ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების საკუთრებაში არსებული სატრანსპორტო საშუალებების გაყიდვიდან; 1,15 ათ. ლარი - შემოსულობა მიწაზე უფლების აღიარებიდან; 127,0 ათ.ლარი - შემოსულობა ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების გაყიდვიდან; 44,09 ათ.ლარი - შემოსულობა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების გაყიდვიდან, რომელიც განლაგებულია ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების (გარდა ა/რესპუბლიკების ადგილ. თვითმ. ერთეულებისა) ტერიტორიაზე.

დასახელება	2017 წლის გეგმა			2017 წლის ფაქტი		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსულობები	15 572,19	3 918,35	11 653,84	15 594,11	3 781,82	11 812,29
შემოსავლები	15 426,19	3 918,35	11 507,84	15 410,29	3 781,82	11 628,47
არაფინანსური აქტივების კლება	146,00	0,00	146,00	183,82	0,00	183,82
შემოსავლები	15 426,19	3 918,35	11 507,84	15 410,29	3 781,82	11 628,47
გადასახადები	2 550,00	0,00	2 550,00	2 415,18	0,00	2 415,18
საშემოსავლო გადასახადი	1 280,00		1 280,00	1 153,73		1 153,73
ქონების გადასახადი	1 270,00	0,00	1 270,00	1 261,45	0,00	1 261,45
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	930,00		930,00	865,50		865,50
უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	0,00			5,19		5,19
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	20,00	0,00	20,00	42,06	0,00	42,06
ეკონომიკური საქმიანობისთვის გამოყენებულ ქონებაზე	0,00			2,63		2,63
არაეკონომიკური საქმიანობისთვის გამოყენებულ უძრავ ქონებაზე	20,00		20,00	39,43		39,43
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	20,00	0,00	20,00	4,17	0,00	4,17
ფიზიკურ პირებიდან	20,00		20,00	3,50		3,50
იურიდიულ პირებიდან	0,00			0,68		0,68

დასახელება	2017 წლის გეგმა			2017 წლის ფაქტი		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	300,00	0,00	300,00	344,53	0,00	344,53
ფიზიკურ პირებიდან	100,00		100,00	102,61		102,61
იურიდიულ პირებიდან	200,00		200,00	241,92		241,92
სხვა გადასახადები ქონებაზე	0,00			0,00		
გრანტები	10 900,45	3 918,35	6 982,10	10 744,70	3 781,82	6 962,88
სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი	10 900,45	3 918,35	6 982,10	10 744,70	3 781,82	6 962,88
ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები	6 982,10	0,00	6 982,10	6 962,88	0,00	6 962,88
გათანაბრებითი ტრანსფერი	6 820,10		6 820,10	6 820,10		6 820,10
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	162,00		162,00	142,78		142,78
ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	3 918,35	3 918,35	0,00	3 781,82	3 781,82	0,00
რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი	3 918,35	3 918,35		3 781,82	3 781,82	
სხვა შემოსავლები	1 975,74	0,00	1 975,74	2 250,40	0,00	2 250,40
შემოსავლები საკუთრებიდან	141,00	0,00	141,00	217,24	0,00	217,24
პროცენტები	81,00		81,00	129,72		129,72
რენტა	60,00	0,00	60,00	87,52	0,00	87,52
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	10,00		10,00	28,03		28,03
შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	50,00		50,00	59,49		59,49
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	1 581,74	0,00	1 581,74	1 697,98	0,00	1 697,98
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	1 564,04	0,00	1 564,04	1 662,95	0,00	1 662,95
სანებართვო მოსაკრებელი	14,00		14,00	12,99		12,99

დასახელება	2017 წლის გეგმა			2017 წლის ფაქტი		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
სახელმწიფო ბაჟი	0,05		0,05	0,00		
საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი	0,05		0,05	0,00		
სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	2,00		2,00	1,80		1,80
სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი	1 432,94		1 432,94	1 534,00		1 534,00
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	115,00		115,00	114,15		114,15
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	17,70	0,00	17,70	35,04	0,00	35,04
შემოსავლები მომსახურების გაწევიდან	17,70		17,70	35,04		35,04
ჯარიმები, სანქციები და საურავები	250,00		250,00	333,67		333,67
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	3,00		3,00	1,51		1,51
არაფინანსური აქტივების კლება	146,00	0,00	146,00	183,82	0,00	183,82
ძირითადი აქტივები	56,00		56,00	11,58		11,58
არაწარმოებული აქტივები	90,00	0,00	90,00	172,24	0,00	172,24
მიწა	90,00		90,00	172,24		172,24

სულ შემოსულობების გეგმა 12 თვის განმავლობაში (ნაშთის ცვლილების გარეშე) შესრულდა 100,14 %-ით. მ.შ. საკუთარი შემოსულობების გეგმა 2017 წლის 12 თვის განმავლობაში შესრულდა 101,36 %-ით. სულ დაგეგმილი იყო 15572.19 ათასი ლარი (ნაშთის ცვლილების გარეშე), მიღებულმა საკასო შემოსავალმა კი შეადგინა 15594.11 ათასი ლარი.

რაც შეეხება გადასახდელებს:

ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით: საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების გეგმა შესრულდა 88.03%-ით, გეგმით გათვალისწინებული იყო 2271.0 ათ.ლარი, ხოლო ფაქტმა შეადგინა 1999.1 ათ.ლარით.

თავდაცვის დაფინანსების გეგმა შესრულდა 76.19 %-ით, დაგეგმილი იყო - 98.8 ათ. ლარი, შესრულდა - 75.3 ათ. ლარით.

საზოგადოებრივი წესრიგის და უსაფრთხოების დაფინანსებისათვის დაგეგმილი იყო - 134,4 ათ. ლარი, ხოლო ფაქტმა შეადგინა 36,0 ათ.ლარი .

ეკონომიკურ საქმიანობაში გეგმა შესრულდა 74,1%-ით. დაგეგმილი იყო - 6769,4 ათასი ლარი, შესრულდა 5016,2 ათასი ლარით.

გარემოს დაცვა - გეგმა შესრულდა 98,98%-ით. დაგეგმილი იყო - 708,9 ათ. ლარი, შესრულდა 701,7 ათ. ლარით, აღნიშნული კლასიფიკაციით მუხლი მოიცავს დასუფთავების ღონისძიებების და გარემოს დაცვის ფარგლებში განსახორციელებელ ღონისძიებებს.

საბინაო კომუნალური მეურნეობა - გეგმა შესრულდა 97,95%-ით. დაგეგმილი იყო - 1223,8 ათ. ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 1198,8 ათ. ლარი

ჯანმრთელობის დაცვის სფეროში გეგმა შესრულდა 100 %-ით. დაგეგმილი იყო 78,0 ათ.ლარი, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 78,0 ათ.ლარი.

გეგმა - დასვენების კულტურის და რელიგიის სფეროში შესრულდა 81,79%-ით. დაგეგმილი იყო 2694,4 ათ. ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 2203,7 ათ. ლარი.

განათლების სფეროში დაგეგმილი იყო - 2137,3 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 1884,4 ათასი ლარი, გეგმა შესრულდა 88,17 %-ით.

რაც შეეხება სოციალურ დაცვას, შესრულდა 87,15% საკასო შესრულებამ შეადგინა 877,9 ათ. ლარი.

ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით ბიუჯეტის წლიური ფაქტიური გადასახდელები წლიურ დაზუსტებულ გეგმურ მაჩვენებლებთან

ფუნქციონალური კოდი	დასახელება	2017 წლის გეგმა			2017 წლის ფაქტი		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	2 271,0	0,0	2 271,0	1 999,1	0,0	1 999,1
7.01.1	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	2 158,6	0,0	2 158,6	1 886,7	0,0	1 886,7
7.01.1.1	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	2 053,9	0,0	2 053,9	1 886,7	0,0	1 886,7
7.01.1.2	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	104,7	0,0	104,7	0,0	0,0	0,0
7.01.6	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	99,9	0,0	99,9	99,9	0,0	99,9
702	თავდაცვა	98,8	0,0	98,8	75,3	0,0	75,3
703	საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	134,4	0,0	134,4	36,0	0,0	36,0
7.03.2	ხანძარსაწინააღმდეგო დაცვა	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
704	ეკონომიკური საქმიანობა	6 769,4	3 558,4	3 211,0	5 016,2	2 654,3	2 361,8
7.04.2	სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და მონადირეობა	15,0	0,0	15,0	0,3	0,0	0,3

ფუნქცი ონალუ რი კოდი	დასახელება	2017 წლის გეგმა			2017 წლის ფაქტი		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწი ფო ბიუჯეტის ფონდები დან გამოყოფი ლი ტრანსფერ ები	საკუთარი შემოსავლ ები		სახელმწი ფო ბიუჯეტის ფონდები დან გამოყოფი ლი ტრანსფერ ები	საკუთარ ი შემოსავ ლები
7.04.2.1	სოფლის მეურნეობა	15,0	0,0	15,0	0,3	0,0	0,3
7.04.5	ტრანსპორტი	6 754,4	3 558,4	3 196,0	5 015,9	2 654,3	2 361,5
7.04.5.1	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	6 754,4	3 558,4	3 196,0	5 015,9	2 654,3	2 361,5
705	გარემოს დაცვა	708,9	0,0	708,9	701,7	0,0	701,7
7.05.1	ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება	598,1	0,0	598,1	598,0	0,0	598,0
7.05.2	ჩამდინარე წყლების მართვა	108,0	0,0	108,0	100,8	0,0	100,8
7.05.6	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა გარემოს დაცვის სფეროში	2,9	0,0	2,9	2,9	0,0	2,9
706	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	1 223,8	0,0	1 223,8	1 198,8	0,0	1 198,8
7.06.1	ბინათმშენებლობა	227,2	0,0	227,2	227,2	0,0	227,2
7.06.3	წყალმომარაგება	37,1	0,0	37,1	36,5	0,0	36,5
7.06.4	გარე განათება	841,3	0,0	841,3	835,2	0,0	835,2
7.06.6	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	118,1	0,0	118,1	99,9	0,0	99,9
707	ჯანმრთელობის დაცვა	78,0	0,0	78,0	78,0	0,0	78,0
7.07.4	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	78,0	0,0	78,0	78,0	0,0	78,0
708	დასვენება, კულტურა და რელიგია	2 694,4	360,0	2 334,4	2 203,7	276,0	1 927,6
7.08.1	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	1 752,7	360,0	1 392,7	1 320,5	276,0	1 044,4
7.08.2	მომსახურება კულტურის სფეროში	905,4	0,0	905,4	848,5	0,0	848,5
7.08.3	ტელერადიომაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა	20,0	0,0	20,0	20,0	0,0	20,0
7.08.4	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	16,3	0,0	16,3	14,7	0,0	14,7
709	განათლება	2 137,3	187,7	1 949,7	1 884,4	0,0	1 884,4
7.09.1	სკოლამდელი აღზრდა	2 062,3	187,7	1 874,7	1 809,4	0,0	1 809,4
7.09.3	პროფესიული განათლება	75,0	0,0	75,0	75,0	0,0	75,0
710	სოციალური დაცვა	1 007,4	0,0	1 007,4	877,9	0,0	877,9
7.10.1	ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	3,0	0,0	3,0	2,6	0,0	2,6
7.10.4	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	64,2	0,0	64,2	60,1	0,0	60,1
7.10.6	საცხოვრებლით უზრუნველყოფა	2,7	0,0	2,7	2,7	0,0	2,7
7.10.7	სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას	734,0	0,0	734,0	663,5	0,0	663,5

ფუნქცი ონალური კოდი	დასახელება	2017 წლის გეგმა			2017 წლის ფაქტი		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
7.10.9	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	203,5	0,0	203,5	148,9	0,0	148,9
	სულ	17 123,3	4 106,0	13 017,3	14 070,9	2 930,4	11 140,5

ქალაქ თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით განხორციელებული პროგრამების/ქვეპროგრამების შესრულების შესახებ ანგარიში

1. თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება (პროგრამული კოდი 02 00)

ა) ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 02 02)

საქართველოს შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის ამაღლებისათვის თვითმმართველი ქალაქი თელავის მუნიციპალიტეტში ხორციელდება წვევამდელთა სამხედრო აღრიცხვა, მობილიზება და მათი გაწვევის პუნქტებამდე ტრანსპორტირების უზრუნველყოფა. აღნიშნული ღონისძიებების განსახორციელებლად 2017 წელს დაგეგმილი იყო - 98,8 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 75,3 ათ. ლარი, გეგმა შესრულდა 76,1 %-ით,

ბ) საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 02 03)
აღნიშნულის ფარგლებში დაგეგმილი იყო 134,4 ათ.ლარი, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 35,9 ათ.ლარი. გახარჯული თანხის ფარგლებში ქალაქის ცენტრალურ ნაწილში საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების მიზნით შეძენილ იქნა 10 ვიდეო კამერა. გეგმა შესრულდა 26,7%-ით, აღნიშნული შეუსრულებლობა გამოწვეულია ზოგადი ხედვის კამერების შესყიდვის მიზნით გამოცხადებული ელექტრონული ტენდერის შეწყვეტით (SPA170013719). აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის, გურიის, იმერეთის, კახეთის, მცხეთა-მთიანეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის, სამეგრელო-ზემო სვანეთის, სამცხე-ჯავახეთის, ქვემო ქართლის, შიდა ქართლის რეგიონების ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების შემსყიდველი ორგანიზაციებისა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შორის გაფორმებული შეთანხმების საფუძველზე ერთობლივი ელექტრონული ტენდერის ჩატარებას უზრუნველყოფს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო.

2. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია (პროგრამული კოდი 03 00)

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, წლის განმავლობაში განხორციელდა ქალაქ თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და მის ექსპლუატაციასთან დაკავშირებული ხარჯების დაფინანსება. აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს.

ა) საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა შენახვა (პროგრამული

კოდი 03 01)

პროგრამის განსახორციელებლად წლის განმავლობაში დაგეგმილი იყო 6801,6 ათ. ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 5019,73 ათ. ლარი, გეგმა შესრულდა 73,8 %-ით. მ.შ. 2654,33 ათ.ლარი გამოყოფილი იყო საქართველოს მთავრობის 2017 წლის 14 მარტის #480 განკარგულებით და 2017 წლის 06 ივლისის #1401 განკარგულებით, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან. პროგრამის ფარგლებში განკარგულებებით გამოყოფილი თანხებით და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით განხორციელდა ქუჩების - 26 მაისის, 9 აპრილის, ელენე ახვლედიანის, ნაფარეულის, დიუნანის, იორდანიშვილის, კველიშვილების, მოსაშვილის, ოძელაშვილის, ქუჩიშვილის, ცაბაძის, არსენიშვილის - ასფალტის საფარის რეაბილიტაცია, ალაზნის გამზირზე მშენებარე სპორტული კომპლექსის მიმდებარე საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობის სამუშაოები რომელიც გაგრძელდა 2018 წელს; ადგილობრივი ბიუჯეტით განხორციელდა შიუკაშვილის, დოდაშვილის, გულიაშვილის ქუჩების სარეაბილიტაციო სამუშაოები; რეაბილიტაცია ჩატარდა თეიმურაზ მეორის ქუჩის ნაწილს და ჭავჭავაძის მოედნიდან თეიმურაზ მეორის ქუჩამდე კიბეებს. პროგრამის ფარგლებში წლის განმავლობაში განხორციელდა ქალაქ თელავის მუნიციპალიტეტში არსებული საგზაო ინფრასტრუქტურის მდგომარეობის შენარჩუნება და განახლება - ქალაქ თელავში მოასფალტებული ქუჩების აღდგენითი სამუშაოები (ასფალტის საფარის შეკეთება), ქალაქის ტერიტორიაზე მოეწყო საგზაო ნიშნები; მოეწყო სიჩქარის შემზღუდველი ხელოვნური ბორცვები; ზამთრის პერიოდში მოხდა თოვლისაგან გზის გაწმენდა; განხორციელდა გზების მონიშვნის სამუშაოები (დახაზვა);

წლის განმავლობაში, პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების შედეგად, გაიზარდა რეაბილიტირებული გზების რაოდენობა, მოწესრიგდა საგზაო ინფრასტრუქტურა, დადგენილი წესების მიხედვით დარეგულირდა საგზაო მოძრაობა, რითიც ხელი ეწყო მგზავრთა შეუფერხებელ, კომფორტულ და უსაფრთხო გადაადგილებას.

ბ) კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 03 02)

პროგრამის ფარგლებში წლის განმავლობაში განხორციელდა გარე-განათების, სანიაღვრე არხების სისტემების მოვლა-შენახვა და ექსპლოატაცია, ქალაქ თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესება, ბინათმშენებლობის ღონისძიებებისათვის საჭირო ღონისძიებების და ქალაქის იერსახის გაუმჯობესების ღონისძიებები, საპირფარეშოების მოვლა-პატრონობის ღონისძიებები.

პროგრამის ფარგლებში წლის განმავლობაში განხორციელებული ღონისძიებების შედეგად ქალაქი ტერიტორიაზე შეიცვალა ძველი სანათები ახალი სანათებით, ყოველწლიურად უმჯობესდება სანიტარული პირობები ქალაქის ტერიტორიაზე, ლაბორატორიულად შემოწმდა ქალაქის ტერიტორიაზე ბუნებრივი წყლები და განთავსებულია შესაბამისი აბრები, რითიც ინფორმირებულია მოსახლეობა წყლის ვარგისიანობასთან დაკავშირებით მათი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით და სხვა.

ბ.ა) ბინათმშენებლობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 02 01)

ქალაქში არსებულ მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებში შექმნილი საერთო პრობლემების გადაჭრის მიზნით ამხანაგობების მიერ წამოჭრილი თემების განხილვის შედეგად, ბინათმშენებლობით ამხანაგობების თანადაფინანსების - ნაწილობრივ მოსახლეობის რესურსების გამოყენების პრინციპით წლის განმავლობაში განხორციელდა სადარბაზოების კეთილმოწყობის ღონისძიებები. (ბმა „ბალავარი“-დუმბაძის ქ. #19; ბმა „დუმბაძის 20“ - დუმბაძის ქ.#20; ბმა „ალაზნის გამზირი #20“ - ალაზნის გამზირი #20, ბმა „კავკასიონის 35“, ბმა „კედარი“ - დ. აღმაშენებლის შესახვევი #9, ბმა „კავკასიონის 43“, ბმა „თუთები“ -ჭავჭავაძის #2, ბმა „ზუზუმბოკ“; ხოლო ბმა „კავკასიონი - 2008“ - კავკასიონის ქ. #37 -ს ჩატარდა სახურავის შეკეთების სამუშაოები).

2017 წელს დაგეგმილი იყო - 227,2 ათ.ლარი, შესრულდა 227,2 ათ.ლარით,100%-ით.

ბ.ბ) გარე-განათების რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02 02)

ქალაქ თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დღე-ღამის ნებისმიერ დროს მოსახლეობის კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს ქუჩების განათება, რისი გათვალისწინებითაც ქვეპროგრამის ფარგლებში წლის განმავლობაში დაფინანსდა გარე-განათების არსებული ქსელის ექსპლუატაცია, — მოვლა-პატრონობა, მოეწყო ახალი კვანძები (ქ. წამებული-ალაზნის გამზირი, ჭავჭავაძე-აღმაშენებელი), მოხდა გარე-განათებაზე წლის განმავლობაში გახარჯული ელ.ენერგიის ხარჯების დაფინანსება. ქალაქის ტერიტორიაზე შეიცვალა ამორტიზებული სანათები ახალი ლედ-სანათებით.

2017 წლის დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 841,34 ათ. ლარს, 2017 წლის განმავლობაში დაფინანსდა 835,15 ათ. ლარით, გეგმა შესრულდა 99,3 %-ით.

ბ.გ) გარემოს დაცვითი ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 02 03)

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით წლის განმავლობაში ხორციელდებოდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიის ყოველდღიური დაგვადასუფთავება და მოსახლეობიდან საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა. სისუფთავის უზრუნველსაყოფად გაიზარდა ნაგვის კონტეინერების რაოდენობა (შეძენილ იქნა დამატებით 50 ცალი ნაგვის კონტეინერი სულ ღირებულებით 46,4 ათ.ლარი). წლის განმავლობაში განხორციელდა ქალაქში არსებული სანიაღვრე არხების მოვლა-პატრონობასთან დაკავშირებული ხარჯების დაფინანსება, განხორციელდა რობაქიძის ქუჩაზე ნიაღვარმიმღების სარეაბილიტაციო სამუშაოები.

2017 წლის დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 708,9 ათ. ლარს, 2017 წლის განმავლობაში დაფინანსდა 701,6 ათ. ლარით, გეგმა შესრულდა 99,0%-ით.

ბ.დ) სასმელი წყლის „სოკო“ (პროგრამული კოდი 03 02 04)

ქალაქის ტერიტორიაზე განთავსებულია სასმელი წყლის ფანტანები - „სოკო“, რისი საშუალებითაც ხდება ქუჩებში მოსახლეობის სასმელი წყლით უზრუნველყოფა. აღნიშნულის ფარგლებში ფინანსდება მათზე ფაქტობრივად გახარჯული წყლის ღირებულება.

2017 წლის დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 1,6 ათ. ლარს, წლის განმავლობაში დაფინანსდა 0,88 ათ. ლარით.

ბ.ე) ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02 05)

შესყიდულ იქნა „უსახელო ხევი“-ს ნაპირსამაგრი სამუშაოების განსახორციელებლად საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია. აღნიშნულ სამუშაოს განსახორციელებლად გამოცხადებული ტენდერი არ შედგა, რამაც გამოიწვია გეგმის შეუსრულებლობა. დაგეგმილი იყო 15,0 ათ. ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 0,3 ათ. ლარი.

ბ.ვ) წყალმომარაგების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 02 06)

წლის განმავლობაში განხორციელდა ქალაქ თელავში არსებული ბუნებრივი წყლების (21 წყარო) ლაბორატორიული შემოწმება და მოეწყო შესაბამისი აბრები.

საქართველოს მთავრობის 20 ოქტომბრის N471 დადგენილების, 2017 წელს შექმნილი მუნიციპალიტეტების დროებითი ბიუჯეტების შედგენის წესის დამტკიცების შესახებ, თანახმად დაფინანსდა თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სასმელი წყლის ჭაბურღილების მიერ გახარჯული ელ. ენერგიის ხარჯი.

2017 წელს დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 37,14 ათ. ლარი, ხოლო საკასო შესრულებამ ზემოაღნიშნული ღონისძიების განსახორციელებლად შეადგინა 36,54 ათ.ლარი, გეგმა შესრულდა 98,4%-ით

ბ.ზ) ქალაქის იერსახის გაუმჯობესების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 02 07)

ქვეპროგრამის ფარგლებში, რომელიც ითვალისწინებდა ქალაქის ტერიტორიის იერსახის გაუმჯობესების მიზნით ღონისძიებების დაფინანსებას, შეძენილ იქნა ქ. თელავში თეატრთან მდებარე სკვერში მდებარე შადრევნის სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაცია.

ბ.თ) საზოგადოებრივი საპირფარეშოების მოვლა-პატრონობის და რეაბილიტაციის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 02 08)

წლის განმავლობაში ფინანსდებოდა ქალაქის ტერიტორიაზე განთავსებული საზოგადოებრივი საპირფარეშოების ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად ყოველდღიურ მოვლა-პატრონობის ხარჯი. სულ 2017 წელს დაგეგმილი იყო 17,9 ათ. ლარი, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 16,1 ათ.ლარი, გეგმა შესრულდა 89,9%-ით

გ) კეთილმოწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 03)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდა ღონისძიებები, რომლებიც ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კეთილმოწყობილი გარემოს შექმნისათვის დასასვენებელი პარკების, სკვერების და გამწვანებული ზონების მოვლა-პატრონობას, აგრეთვე ქალაქის ტერიტორიაზე განთავსებული სასაფლაოების მოვლა-პატრონობას, რაც წლის განმავლობაში რეგულარულად მიმდინარეობდა.

2017 წელს დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 85,6 ათ. ლარი, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 82,4 ათ.ლარი, გეგმა შესრულდა 96,3%-ით.

3. განათლება (პროგრამული კოდი 04 00)

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით მნიშვნელოვანი როლი ენიჭება სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებშიც ყოველწლიურად ხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება და აგრეთვე ინფრასტრუქტურის მოწესრიგება. აგრეთვე მუნიციპალიტეტის მიერ ფინანსდება ააიპ მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი.

2017 წელს პრიორიტეტის განსახორციელებლად დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 2137,3 ათ. ლარი, შესრულებამ შეადგინა 1884,43 ათ. ლარი, გეგმა შესრულდა 88,2%-ით.

ა) ააიპ ქალაქ თელავის ბაგა-ბაღების გაერთიანება (პროგრამული კოდი 04 01 01)

პროგრამის ფარგლებში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება სკოლამდელ განათლებას. ქალაქ თელავის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 8 ბაგა-ბაღი და 1 ს/ბაღი, რომლებიც გაერთიანებულები არიან და შედიან ააიპ „ქალაქ თელავის ბაგა-ბაღების გაერთიანება“-ში. 2017 წელ ბაღებში ირიცხებოდა 1500 -მდე აღსაზრდელი. წლის განმავლობაში ჩატარდა სასწავლო კალენდარული გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებები ყველა ასაკობრივ ჯგუფში, წლის განმავლობაში რეგულარულად ხდებოდა ინვენტარის განახლება, შეძენილ იქნა სამზარეულოს აღჭურვილობა და ელექტრო ტექნიკა. სამინებლებში განახლდა რბილი ინვენტარი. შეძენილ იქნა სათამაშოები.

ბაგა-ბაღების ფუნქციონირებისათვის და სააღმზრდელო პროცესის წარმართვისათვის 2017 წელს დაგეგმილი იყო 1670,0 ათ. ლარი, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 1668,75 ათ. ლარი, გეგმა შესრულდა 99,93 %-ით.

ბ) სკოლამდელი განათლების ხელშეწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 04 01 02)

2017 წელს განხორციელდა #3 და #5 ბაგა-ბაღებში ფანჯრების შეცვლის და სველი წერტილების სარეაბილიტაციო სამუშაოები; ცხრავე ბაღი აღიჭურვა სამეთვალყურეო კამერებით.

პროგრამის ფარგლებში ბაგა-ბაღებში განხორციელდა სხვადასხვა საბავშვო კულტურული, სპორტული და საგანმანათლებლო ღონისძიებები.

2017 წელს დაზუსტებული გეგმით გათვალისწინებული იყო 392,3 ათ. ლარი, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 140,7 ათ. ლარი, გეგმა შესრულდა 35,86 %-ით, შეუსრულებლობა გამოწვეულია 2015 წელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხით, რომელიც ანაზღაურდება ხელშეკრულების პირობების გათვალისწინებით, და თანხა გაჩერებულია მუნიციპალიტეტის სახაზინო ანგარიშზე.

გ) მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის დაფინანსება (პროგრამული კოდი 04 02)

2017 წელს პროგრამის ფარგლებში ხელი შეეწყო და დაფინანსდა ააიპ „თელავის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი“ სადაც ფუნქციონირებს მრავალი წრე, რომელიც ემსახურება ბავშვთა განათლების, შემოქმედებითი და ინტელექტუალური ღონის ამადლებას. წლის განმავლობაში მათ მიერ ჩატარდა მრავალი ღონისძიება, 2017 წელს დაგეგმილი იყო 75,0 ათ. ლარი, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 75,0 ათ. ლარი, გეგმა შესრულდა 100 %-ით.

4. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი (პროგრამული კოდი 05 00)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდა სპორტის განვითარებისათვის სათანადო პირობების შექმნა, სპორტსმენთა მომზადების ორგანიზაციული და მეთოდური ხელშეწყობა, მონაწილეობის მიღება სხვადასხვა ღონის ტურნირებზე. განხორციელდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული კულტურის ობიექტების, ბიბლიოთეკების, სახელოვნებო სკოლების ხელშეწყობის ღონისძიებები, წიგნადი ფონდის განახლება, კულტურული დაწესებულებებისათვის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება, კულტურული და სპორტული ღონისძიების ხელშეწყობა, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებების ჩატარების ხელშეწყობა.

ა) სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01)

აღნიშნული პროგრამის განხორციელება მნიშვნელოვანია ბავშვებსა და მოზარდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების და სხვადასხვა სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებების განხორციელებისთვის.

ა.ა) სპორტის განვითარების ხელშეწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 05 01 01)

წლის განმავლობაში განხორციელდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარება - სპორტული ობიექტების რეაბილიტაცია: კრივისა და ძალოსნობის დარბაზის გაზიფიცირების და სველი წერტილების სარეაბილიტაციო სამუშაოები, კავკასიონის ქუჩაზე, მშვიდობის ქუჩაზე და ალაზნის გამზირზე მდებარე სპორტული მოედნების სარეაბილიტაციო ღონისძიებები. შეკეთდა ჩოგბურთის კორტებზე არსებული შენობა-ნაგებობები. ალაზნის გამზირზე მშენებარე სპორტული კომპლექსისათვის მოეწყო გარე კომუნიკაციები. შეძენილ იქნა პროექტები თამაშ ანათამის სახელობის და მირიან ცალქალამანიძის სახელობის სპორტული სკოლების სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის.

დაფინანსდა (თანადაფინანსებით) თელავის საჩოგბურთო კორტებზე ღია საერთაშორისო ტურნირი ჩოგბურთში. ჩატარდა სხვადასხვა სპორტული ღონისძიება. აღნიშნული პროგრამის განხორციელება მნიშვნელოვანია ბავშვებსა და მოზარდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების, ფიზიკურ აქტივობებში და სპორტში ჩართულობის უზრუნველყოფისათვის.

2017 წლის დაზუსტებული გეგმა სულ შეადგენდა 876,2 ათ.ლარს, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 487,43 ათ.ლარი, გეგმა შესრულდა 55,63%-ით, გეგმის ფარგლებში გაფორმდა გარდამავალი ხელშეკრულება ალაზნის გამზირზე მშენებარე სპორტული კომპლექსისათვის მოეწყო გარე კომუნიკაციების მოწყობისათვის, რომლის თანხის ანაზღაურება მოხდება 2018 წელს.

ა.ბ) სპორტული ორგანიზაციების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01 02)

წლის განმავლობაში მნიშვნელოვანი როლი ენიჭებოდა ბავშვთა ინტერესების გათვალისწინებას. ბავშვებსა და მოზარდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას, ფიზიკურ აქტივობებში ბავშვთა და მოზარდთა ჩართულობას. მუნიციპალიტეტში ბავშვთა და მოზარდთა მასობრივი სპორტის განვითარებას. ნაკრები გუნდების მომზადებას და მონაწილეობას სხვადასხვა ღონის სპორტულ ღონისძიებებში. პირველობების ჩატარება, მაღალი კლასის სპორტსმენთა მომზადება. სპორტის განვითარებისათვის ქმედითი ნაბიჯების გადადგმა. მათ მიერ წლის განმავლობაში განხორციელდა მრავალი სპორტული ღონისძიება და მიიღეს მონაწილეობა ქვეყნის მასშტაბით ჩატარებულ სხვადასხვა ტურნირებში. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს სხვადასხვა სპორტული ორგანიზაციები ააიპ თელავის სასპორტო გაერთიანება -

დაზუსტებული გეგმა 269,7 ათ.ლარი, საკასო შესრულება 256,55 ათ.ლარი; , ააიპ ქალაქ თელავის სპორტულ კლუბთა გაერთიანება „თელავი“ - გეგმა 314,0 ათ.ლარი, საკასო შესრულება -313,69 ათ.ლარი;“, ააიპ ქალაქ თელავის საფეხბურთო სკოლა „კახეთი“ -გეგმა 100,0 ათ.ლარი, საკასო შესრულება 100,0 ათ.ლარი; ააიპ ჭიდაობის სპორტული სკოლა თელავი - გეგმა 115,9 ათ.ლარი, საკასო შესრულება 115,9 ათ.ლარი , ქალაქის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს შემდეგი სპორტული ობიექტები - ჩოგბურთის კორტები, რომელიც მრავალი საერთაშორისო ტურნირის მასპინძელია, საფეხბურთო სკოლა, თ.ანთაძის სახელობის სპორტული სკოლა, მ.ცალქალაძის სახელობის ჭიდაობის სპორტული სკოლა, ჭადრაკის სახლი, სადაც ბევრი ცნობილი მოჭადრაკე აღზრდილა და დღესაც ღირსეულად ასპარეზობენ საერთაშორისო არენაზე და ა.შ. აგრეთვე პროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ხელოვნურსაფარიანი და ბუნებრივსაფარიანი მინი-მოედნების მოვლა შენახვისა და ექსპლოატაციის ხარჯების დაფინანსება. აღნიშნული ააიპ-ების მიერ წლის განმავლობაში განხორციელებული ღონისძიებები მნიშვნელოვანია ბავშვებსა და მოზარდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების. მათი მიზანია სპორტის პოპულარიზაცია და მოზარდების სპორტულ აქტივობებში ჩართვა, რომელსაც ახორციელებენ სხვადასხვა ღონისძიებების ჩატარებით. ფიზიკური აქტივობებისა და სპორტის მიზანია პიროვნების მრავალმხრივი განვითარება, რომ მოზარდი ადრეული ასაკიდან იყოს ფიზიკურად დატვირთული, რომელიც დაეხმარება მას საკუთარი ფიზიკური უნარების გამოვლენაში, ფსიქო-ფიზიკურ განვითარებაში, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებაში.

2017 წლის დაზუსტებული გეგმა სულ შეადგენდა 799,6 ათ.ლარს, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 786,13 ათ.ლარი, გეგმა შესრულდა 98,32 %-ით.

ბ) კულტურის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02)

პროგრამა ითვალისწინებს სახელოვნებო ორგანიზაციებში კრეატიული აზროვნების დანერგვა-ხელშეწყობას, ხალხური შემოქმედების, ფოლკლორული ეთნოგრაფიული მემკვიდრეობის პოპულარიზაციას. მოსწავლეთა მზადებას და მონაწილეობას ბავშვთა და მოზარდთა კლასიკური და ფოლკლორული მუსიკის რესპუბლიკურ ფესტივალებსა და კონკურსებში; მოზარდებში გარესამყაროს მხატვრული აღქმის უნარის ჩამოყალიბებას; მოსწავლეთა ხელოვნების საფუძვლების ზიარებას. მატერიალურ - ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას. სხვადასხვა კულტურული ღონისძიებების მოწყობა, რომელშიც მონაწილეობას იღებენ ადგილობრივი ანსამბლები. სხვადასხვა სახალხო და რელიგიური დღესასწაულების ჩატარება. აღნიშნული ღონისძიებების დაფინანსება ხელს უწყობს მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ახალგაზრდობაში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას. ქართული ფოლკლორული ხელოვნების და ადგილობრივი ტრადიციების შენარჩუნებას.

ბ.ა) კულტურის ორგანიზაციების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02 01)

ყოველივე ზემოაღნიშნულის განსახორციელებლად ქალაქ თელავის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს კულტურის ორგანიზაციები: ააიპ თელავის ქართული ხალხური ცეკვისა და სიმღერის ანსამბლი - გეგმა 110,0 ათ.ლარი, საკასო შესრულება 110,0 ათ.ლარი; ააიპ ქ.თელავის #1 სამუსიკო სკოლა გეგმა 81,0 ათ.ლარი, საკასო შესრულება 81,0 ათ.ლარი; ააიპ სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულება - #2 სამუსიკო სკოლა - გეგმა 75,0 ათ.ლარი, საკასო შესრულება 75,0 ათ.ლარი; ააიპ თელავის ელენე ახვლედიანის სახელობის სამხატვრო სკოლა - გეგმა 68,0 ათ.ლარი, საკასო შესრულება 68,0 ათ.ლარი; ააიპ ქ.თელავის საბიბლიოთეკო გაერთიანება - გეგმა 119,0 ათ.ლარი, საკასო შესრულება 119,0 ათ.ლარი; ააიპ ქ.თელავის კულტურის ცენტრი - გეგმა 360,0 ათ.ლარი, საკასო შესრულება 318,45 ათ.ლარი; სსიპ ქ.თელავის ვაჟა-ფშაველას სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი - გეგმა 4,6 ათ.ლარი, საკასო შესრულება 4,6 ათ.ლარი; ააიპ კულტურისა და დასვენების პარკი „ნადიკვარი“ - გეგმა 27,0 ათ.ლარი, საკასო შესრულება 27,0 ათ.ლარი;

2017 წელს კულტურის ორგანიზაციების დაფინანსება შეადგენდა 845,0 ათ.ლარს, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 803,0 ათ.ლარი, გეგმა შესრულდა 95,03 %-ით

ბ.ბ) კულტურის განვითარების ხელშეწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 05 02 02)

პროგრამა ითვალისწინებს კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობის დაფინანსებას, რომლის ფარგლებშიც 2017 წელს განხორციელდა და ხელი შეეწყო მრავალი მნიშვნელოვანი ღონისძიების ჩატარებას.

2017 წელს დაგეგმილი იყო 14,0 ათ. ლარი, შესრულებამ შეადგინა 13,32 ათ. ლარი, გეგმა შესრულდა 95,15%-ით.

გ) ახალგაზრდული ღონისძიებების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 03)

პროგრამა ითვალისწინებს ახალგაზრდული ღონისძიებების დაფინანსებას, ახალგაზრდობის ჩართულობას სპორტულ და კულტურულ ცხოვრებაში (ლაშქრობები, ექსკურსიები, და ა.შ.). პროგრამის ფარგლებში ჩატარდა მრავალფეროვანი ახალგაზრდული ღონისძიებები.

2017 წელს დაგეგმილი იყო 16,28 ათ. ლარი, შესრულებამ შეადგინა 14,73 ათ. ლარი, გეგმა შესრულდა 90,52%-ით.

დ) ტელე-რადიო მაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა (პროგრამული კოდი 05 04)

პროგრამის ფარგლებში მოხდა მწერალთა ორგანიზაციის ხელშეწყობა -ჟურნალი „ოლე“-ს და ჟურნალ „საქართველოს მოამბე“-ს თანადაფინანსება.

2017 წელს დაგეგმილი იყო 20,0 ათ. ლარი, შესრულებამ შეადგინა 20,0 ათ. ლარი, გეგმა შესრულდა 100%-ით

ე) მეგლთა დაცვის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 05 05)

წლის განმავლობაში ხორციელდებოდა ისტორიულ მეგლებზე ინფორმაციის მოძიება, დაფინანსდა #8 ბაგა ბაღის ჭიშკრის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო სამუშაოების შესყიდვა და სარეაბილიტაციო სამუშაოები, შეძენილ იქნა სამხატვრო სკოლის და „დაბახნების“ წყაროს სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, ჩატარდა ჩოლოყაშვლის ქუჩაზე ახლადგამოვლენილი გვირაბის არქეოლოგიური სამიწებო სამუშაოები, გაიწმინდა ელ. ახვლედიანის სახელობის სამხატვრო სკოლის სარდაფი, დასრულდა აივნის რეაბილიტაცია, რომელის სამუშაოებიც დაიწყო 2016 წელს.

2017 წელს დაგეგმილი იყო 73,47 ათ. ლარი, შესრულებამ შეადგინა 59,15 ათ. ლარი, გეგმა შესრულდა 80,5%-ით.

ვ) დასვენების ღონისძიებების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 06)

პროგრამის ფარგლებში შეძენილ იქნა მშვიდობის ქუჩაზე დასასვენებელი პარკის მოწყობის სამუშაოებისათვის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია. ზუზუმბოს ქუჩაზე ბავშვთა გასართობი მოედნის მოწყობის სამუშაოებისათვის გაფორმებულია გარდამავალი ხელშეკრულება, სამუშაოს დასრულება და ღირებულების ანაზღაურება 2018 წელს.

2017 წელს დაგეგმილი იყო 49,91 ათ. ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 19,91 ათ. ლარი, გეგმა შესრულდა 39,89%-ით, შეუსრულებლობა გამოწვეულია გარდამავალი ხელშეკრულებით, რომელიც დასრულდება 2018 წელს.

5. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06

00) 2017 წელს განხორციელდა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტი, მოსახლეობისათვის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობისა და სოციალური სფეროს დაფინანსება. განხორციელდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის გარკვეული შეღავათებითა და სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფის, მოხუცებულთა, მიუსაფართა და სოციალურად დაუცველთა კვებით უზრუნველყოფის, ახალშობილთა და მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების და სხვა სოციალური ღონისძიებების დაფინანსება.

2017 წელს პრიორიტეტის განსახორციელებლად გეგმამ შეადგინა 1086,2 ათ. ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 956,74 ათ. ლარი, გეგმა შესრულდა 80,08%-ით.

ა) ჯანდაცვის პროგრამები (პროგრამული კოდი 06 01)

ჯანმრთელობისათვის ხელშეწყობა წარმოადგენს პროცესს, რომელიც მიმართულია ადამიანის მიერ საკუთარი ჯანმრთელობის კონტროლისა და გაუმჯობესებისაკენ. პროგრამა უზრუნველყოფს მოსახლეობის ყველა ფენისათვის იმ შეგნების ჩანერგვას, რომ აუცილებელია საკუთარ ჯანმრთელობაზე ზრუნვა ცხოვრების ჯანსაღი წესის დანერგვის გზით. ამ პროგრამის მთავარი მიზანი მოსახლეობის სიცოცხლის ხანგრძლივობის გაზრდის მიღწევა და მოსახლეობაში ჯანმრთელი კონტიგენტის ხვედრითი წონის მატებაა. აგრეთვე მისი მიზანია ადამიანთა ფიზიკური და ფსიქიური ჯანმრთელობის დაცვა, შენარჩუნება და აღდგენა დაავადებათა პრევენციის, მათი გავრცელების შესწავლისა და შესაბამისად კონტროლის, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების, ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს ჩამოყალიბებისათვის ხელშეწყობის გზით, აგრეთვე მათი აღჭურვის გაუმჯობესებასთან დაკავშირებულ ხარჯებს.

2017 წელს პროგრამის განსახორციელებლად გეგმამ შეადგინა 78,0 ათ. ლარი, შესრულებამ შეადგინა 78,0 ათ. ლარი, გეგმა შესრულდა 100%-ით.

ბ) სოციალური პროგრამები (პროგრამული კოდი 06 02)

პროგრამა ითვალისწინებს ხანდაზმულთათვის, მარტოხელა მშობლების, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე და სოციალურად დაუცველ პირთათვის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მიზნით სხვადასხვა ღონისძიებების გატარებას, როგორცაა ახალშობილთა და მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს როგორც ერთჯერად (ახალშობილის ოჯახები) ასევე ყოველთვიურ (მრავალშვილიანი ოჯახები) ფინანსურ დახმარებას, რაც ნაწილობრივ აისახება მათ სოციალურ მდგომარეობაზე. სოციალურად დაუცველ პირზე ზრუნვა, სამედიცინო მომსახურების დაფინანსება და სხვ..

ბ. ა) ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა (პროგრამული კოდი 06 02 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდა დიალეზის პროგრამაში ჩართული ბენეფიციარების სამედიცინო პუნქტამდე ტრანსპორტირების ხარჯი.

2017 წელს გათვალისწინებული იყო 3,1 ათ. ლარი, შესრულდა 2,63 ათ. ლარი. გეგმა შესრულდა 87,38 %-ით.

ბ.ბ) საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაინვალიდებულთა შვილების დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა დაფინანსება ომის დროს შშმ პირთა მცირეწლოვან შვილებზე ყოველთვიური ფულადი დახმარების სახით.

2017 წლის განმავლობაში ქვეპროგრამისათვის გათვალისწინებული იყო 3,95 ათ. ლარი, შესრულდა 3,8 ათ. ლარი. გეგმა შესრულდა 96,2%-ით.

ბ.გ) სოციალურად დაუცველ პირთა დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 02)

თელავის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ ფუნქციას წარმოადგენს საიმედო სანიტარული მდგომარეობის უზრუნველყოფა. ამ მიზნით ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შესაბამისი ღონისძიებები - მუნიციპალიტეტის ცენტრალური გზების დასუფთავება, მყარი ნარჩენების გატანა, სტიქიური ნაგავსაყრელებიდან ნაგვის გატანის ღონისძიებები. 2017 წელს დაგეგმილი იყო 230,0 ათ. ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 216,85 ათ. ლარი, გეგმა შესრულდა 94,3%-ით.

ბ.დ) ჩამდინარე წყლების სისტემის მოწყობა-რეაბილიტაციისა და ექსპლუატაციის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 02 04 02)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდა ჩამდინარე წყლის (წვიმის წყალი, საყოფაცხოვრებო და სხვა სახის ჩამდინარე წყლების) წარმოშობის ადგილიდან ზედაპირული წყლების ადგილამდე გატანის და ჩაღვრის ღონისძიებისათვის სანიაღვრე არხების მოწყობა. სანიაღვრე არხი მოეწყო სოფ. ვანთში და სოფ. აკურაში, პროგრამის განსახორციელებლად გათვალისწინებული იყო 80,7 ათ. ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 80,1 ათ. ლარი. გეგმა შესრულდა 99,2%-ით.

გ) კეთილმოწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 03)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სტიქიისაგან და ჭარბი ნალექისაგან დაზიანებული ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, კეთილმოწყობილი გარემოს შექმნა. პროგრამის ფარგლებში ასევე განხორციელდა სოფ. სანიორეში იუსტიციის სახლის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა, აღნიშნული ღონისძიებების განსახორციელებლად დაგეგმილი იყო 128,7 ათ. ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 121,3 ათ. ლარი, გეგმა შესრულდა 94,3%-ით.

დ) სოფლის მხადარჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 04)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდა 2016 წელს განსახორციელებელი სამუშაოების დასრულების ღონისძიებები, კერძოდ, დასრულდა სოფ. ვანთაში მინი მოედნის მოწყობის სამუშაოები. შეძენილ იქნა გარე განათებისათვის სანათები.

3. განათლება (პროგრამული კოდი 04 00)

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით მნიშვნელოვანი როლი ენიჭება სკოლამდელ განათლებას და სხვა საგანმანათლებლო ღონისძიებების განხორციელებას. აღნიშნული თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს. რომლის ფარგლებშიც ყოველწლიურად ხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება.

2017 წელს პრიორიტეტის განსახორციელებლად დაგეგმილი იყო 2031,1 ათ. ლარი, შესრულებამ შეადგინა 2029,1 ათ. ლარი, გეგმა შესრულდა 99,9%-ით.

ა) ააიპ თელავის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების გაერთიანება (პროგრამული კოდი 04 01 01)

პროგრამის ფარგლებში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება სკოლამდელ განათლებას. თელავის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 20 ბაგა-ბაღი: სოფ. აკურის ბაგა-ბაღი, სოფ. ვანთის ბაგა-ბაღი, სოფ. ბუშეტის ბაგა-ბაღი, სოფ. ქვ.ხოდანის ბაგა-ბაღი, სოფ. წინანდლის ბაგა-ბაღი, სოფ. კონდოლის ბაგა-ბაღი, სოფ. კისისხევის ბაგა-ბაღი, სოფ. გულგულის ბაგა-ბაღი, სოფ. ვარდისუბნის ბაგა-ბაღი, სოფ. ყარაჯალის ბაგა-ბაღი, სოფ. რუისპირის ბაგა-ბაღი, სოფ. იყალთოს ბაგა-ბაღი, სოფ. სანიორის ბაგა-ბაღი, სოფ. თეთრწყლების ბაგა-ბაღი, სოფ. ფშავლის ბაგა-ბაღი, სოფ. ლაფანყურის

ბაგა-ბაღი, სოფ. ართანის ბაგა-ბაღი, სოფ. ნაფარეულის ბაგა ბაღი, სოფ. ფშავლის ბაგა-ბაღი, სოფ. წინანდლის მე2 ბაგა-ბაღი, რომლებიც გაერთიანებულები არიან და შედიან ააიპ „ბაგა-ბაღების გაერთიანება“-ში. ბაგა-ბაღების ფუნქციონირებისათვის და სააღმზრდელო პროცესის წარმართვისათვის 2017 წელს დაგეგმილი იყო 1656,7 ათ. ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 1655,2 ათ. ლარი, გეგმა შესრულდა 99,1 %-ით.

ააიპ თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების გაერთიანება მუდმივად ზრუნავს გაერთიანებაში შემავალი ბაღებში სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის სწორად წარმართვისათვის. ბაგა-ბაღებში დაცულია კვების ნორმები, რომელიც აუცილებელია ბავშვის ნორმალური განვითარებისათვის. მუდმივად ზრუნავენ სააღმზრდელო პროცესების დახვეწისთვის, აღმზრდელების კვალიფიკაციის ამაღლებაზე. წლის განმავლობაში ჩატარდა სხვადასხვა ღონისძიებები.

ბ) სკოლამდელი აღზრდის საგანმანათლებლო ღონისძიებები (პროგრამული კოდი 04 01 02)

სკოლამდელი აღზრდის საგანმანათლებლო პროცესის წარმატებით განხორციელებისათვის მნიშვნელოვანი როლი ენიჭება კეთილმოწყობილ გარემოს და მოწესრიგებულ ინფრასტრუქტურას. 2017 წელს დაგეგმილი იყო 370,9 ათ. ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 370,5 ათ. ლარი, გეგმა შესრულდა 99,8 %-ით. პროგრამის ფარგლებში ადგილობრივი ბიუჯეტით განხორციელდა მუნიციპალიტეტის სოფლებში - ფშაველი, სანიორე, ართანა, აკურა, ვანთა, ქვ. ხოდაშენი, წინანდალი, კონდოლი, კისისხევი, შალაური, ვარდისუბანი, რუისპირი - საბავშვო ბაღების ნაწილობრივი რეაბილიტაცია, მოეწყო გათბობის სისტემები.

ბ) საგანმანათლებლო ღონისძიებები (პროგრამული კოდი 04 02)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდა აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვებისათვის სპეციფიკური საგანმანათლებლო ღონისძიებები ტრენერების ზედამხედველობით დაბა ურეკში. ღონისძიება დაფინანსდა 3,42 ათ. ლარით.

4. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი (პროგრამული კოდი 05 00)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდა სპორტის განვითარებისათვის სათანადო პირობების შექმნა, სპორტსმენთა მომზადების ორგანიზაციული და მეთოდური ხელშეწყობა, მონაწილეობის მიღება რესპუბლიკურ ღონისძიებებზე. განხორციელდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული კულტურის ობიექტების, ბიბლიოთეკების, სახელოვნებო სკოლების ხელშეწყობის ღონისძიებები, წიგნადი ფონდის განახლება, კულტურული დაწესებულებებისათვის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება, კულტურული ღონისძიების ხელშეწყობა, ახალგაზრდული ღონისძიებების ჩატარების ხელშეწყობა.

2017 წელს კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტის პრიორიტეტის განსახორციელებლად დაგეგმილი იყო 1379,7 ათ. ლარი, შესრულებამ შეადგინა 1364,7 ათ. ლარი, გეგმა შესრულდა 98,91%-ით.

ა) სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01)

თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პროგრამის ფარგლებში განხორციელდა სპორტული მოედნების და სკვერების მოწყობა, აღნიშნული პროგრამის განხორციელება მნიშვნელოვანია ბავშვებსა და მოზარდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების და სხვადასხვა სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებების განხორციელებისთვის.

ა.ა) სპორტული და დასვენების ღონისძიებების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01 01)

პროგრამის განსახორციელებლად 2017 წელს დაგეგმილი იყო 209,7 ათ. ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 209,5 ათ. ლარი, გეგმა შესრულდა 99,9 %-ით. პროგრამის ფარგლებში განხორციელდა სპორტული და დასვენების ობიექტების ინფრასტრუქტურის მოწყობა და რეაბილიტაცია, სპორტული ინვენტარის შეძენა. პროგრამის ფარგლებში განხორციელდა სოფ. იყალთოს მკლავჭიდის დარბაზისათვის ინვენტარის შეძენა, მინი მოედნები მოეწყო სოფ.

კურდღელაურში, სოფ. გულგულაში და სოფ. ფშაველში. აღნიშნული პროგრამის განხორციელება მნიშვნელოვანია ბავშვებსა და მოზარდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების და სხვადასხვა სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებების განხორციელებისთვის.

ა.ბ) სპორტული ორგანიზაციების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება ააიპ თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის სასპორტო გაერთიანების დაფინანსება, 2017 წელს დაგეგმილი იყო 443,2 ათ. ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 441,8 ათ. ლარი, გეგმა შესრულდა 99,7%-ით.

ააიპ თვითმმართველი თემის თელავის სასპორტო გაერთიანებამ მკვეთრად შეცვალა სოფლად მოზარდი თაობის სისტემატურ სპორტულ წვრთნაში ჩაბმულობა. ამაღლდა სპორტის მასობრიობა, გაიზარდა ჩართულობა სპორტში. ორგანიზაციაში ფუნქციონირებს სპორტის რვა (ფეხბურთი, ჭიდაობა, რაგბი, უშუს, მკლავჭიდის, ფრენბურთის, კრივის, ძალოსნობის) სახეობის სასწავლო-საწვრთნელი ჯგუფები და ტრენაჟორების სექცია და მოიცავს მუნიციპალიტეტის თითქმის ყველა სოფელს, მოსწავლეთა ძირითადი სპორტის განვითარების სტრატეგიული მიმართულებებიდან ერთ-ერთი მიღწეულია-ესაა მოზარდთა მასობრივი ჩართვა სპორტულ საქმიანობაში, რამაც მომავალში წმინდა სპორტული მაჩვენებლები უნდა განსაზღვროს. გარდა ამისა, განსაკუთრებით გამოსაყოფია ის გარემოებაც რომ, სპორტი ხელმისაწვდომი გახდა სოფლის მოსახლეობისთვის.

ბ) კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02 01)

2017 წელს პროგრამის განსახორციელებლად დაგეგმილი იყო 46,0 ათ. ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 46,0 ათ. ლარით. გეგმა შესრულდა 100 %-ით, აღნიშნული თანხით ნაწილობრივი რეაბილიტაცია ჩატარდა სოფ. წინანდლის და სოფ. აკურის სამუსიკო სკოლებს.

გ) კულტურის ორგანიზაციების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02 02)

ქვეპროგრამა ითვალისწინებს კულტურის ორგანიზაციებში კრეატიული აზროვნების დანერგვა-ხელშეწყობას, ხალხური შემოქმედების, ფოლკლორული, ეთნოგრაფიული მემკვიდრეობის პოპულარიზაციას. სათანადო მომზადებას და შემოქმედებითი კონცერტების მოწყობას. მოსწავლეთა მზადებას და მონაწილეობას ბავშვთა და მოზარდთა კლასიკური და ფოლკლორული მუსიკის რესპუბლიკურ ფესტივალებსა და კონკურსებში; მატერიალურ - ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას. ყოველივე ზემოაღნიშნულის განსახორციელებლად ფუნქციონირებს ააიპ „წინანდლის სამუსიკო სკოლა“, ააიპ „რუისპირის სამუსიკო სკოლა“, ააიპ „აკურის სამუსიკო სკოლა“. ააიპ „თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი“, ააიპ „თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანება“.

2017 წელს სახელოვნებო სკოლების დაფინანსებისათვის დაგეგმილი იყო: ააიპ აკურის სამუსიკო სკოლა 48,8 ათ. ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 48,67 ათ. ლარი, ააიპ წინანდლის სამუსიკო სკოლა - გეგმა 105,6 ათ. ლარი, ხოლო საკასო შესრულება -105,42 ათ. ლარი, ააიპ რუისპირის სამუსიკო სკოლა - გეგმა 54,7 ათ. ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 54,64 ათ. ლარი. სულ გეგმა შესრულდა 99,8%-ით. სამუსიკო სკოლების მოსწავლეები წარმატებით მონაწილეობდნენ სხვადასხვა ფესტივალებსა და კონცერტებში: „მომავლის ვარსკვლავები 2017 წელი“, „იპოვე შენი ვარსკვლავი“. კლასიკური მუსიკის კონცერტი და ა.შ. წარმატებული გამოსვლისათვის მოსწავლეები დაჯილდოვდნენ ლაურეატის დიპლომებით. ააიპ წინანდლის სამუსიკო სკოლის მოსწავლემ მონაწილეობა მიიღო იტალიაში ქ. პეზაროში საერთაშორისო სამუსიკო ფესტივალში. ყოველივე ზემოაღნიშნული მნიშვნელოვანი სტიმულია მოსწავლე ახალგაზრდობისათვის მუსიკალური განათლების დაუფლებისათვის.

მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულია ააიპ „თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი“, რომელშიც გაერთიანებულია მუნიციპალიტეტის

ტერიტორიაზე განთავსებული 9 კულტურის სახლი, რომლებიც მრავალი სხვადასხვა ადგილობრივი კულტურული ღონისძიების განმახორციელებელია (სხვადასხვა სოფლის დღესასწაულები, შობა-ახალი წლისადმი მიძღვნილი ღონისძიება და სხვა).

კულტურული ღონისძიებები ემსახურება მოსახლეობის როგორც სულიერი და კულტურული თვითშეგნების ამაღლებას, ასევე სხვადასხვა კულტურული ღონისძიებების მიმართ ინტერესს და ტურიზმის განვითარებას. ყველა ღონისძიების ჩატარებას მოსახლეობა ხვდება დადებითი და ამაღლებული განწყობით და სურვილს გამოთქვავენ, რომ ასეთი ღონისძიებები ხშირად იქნას ჩატარებული თითოეულ სოფელში, რათა მომავალი თაობა აღიზარდოს ქართული და ეროვნული სიმღერების სულისკვეთებით და სიყვარულით.

პროგრამის განხორციელებით გაიზარდა ინტერესი მოსახლეობის და ახალგაზრდობის მიერ სხვადასხვა ღონისძიებებსა და პროექტებში დაგეგმვა- მონაწილეობის მიღებაზე. 2017 წელს ააიპ კულტურის ცენტრი დაფინანსდა 310,7 ათ. ლარით, გეგმა შესრულდა 98%-ით.

თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს ააიპ „თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანება“, ორგანიზაციის მეშვეობით საზოგადოებას ეძლევა საშუალება მუდმივად გაეცნოს და მიიღოს ინფორმაცია მისთვის საჭირო და საინტერესო საკითხებზე. ჩატარდა ღონისძიებები, როგორც ცალკეულ სოფლებში, ასევე ზონალურად წარჩინებულ ბავშვების და წარმატებულ ადამიანების მონაწილეობით. განახლდა წიგნადი ფონდი.

საბიბლიოთეკო გაერთიანების ფუნქციონირებისათვის 2017 წელს დაგეგმილი იყო 110,0 ათ. ლარი, შესრულებამ შეადგინა 109,7 ათ. ლარი, გეგმა შესრულდა 99,7%-ით.

დ) ახალგაზრდული ღონისძიებების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 03)

პროგრამა ითვალისწინებს ახალგაზრდული ღონისძიებების დაფინანსებას, ახალგაზრდობის ჩართულობას სპორტულ და კულტურულ ცხოვრებაში. პროგრამის ფარგლებში ტარდება სხვადასხვა სპორტული ტურნირები და ღონისძიებები, სადაც მონაწილეობას იღებენ ადგილობრივი სპორტული და მოყვარულთა გუნდები.

2017 წელს ახალგაზრდული ღონისძიებები დაფინანსდა 12,8 ათ. ლარით. დაგეგმილი იყო 12,8 ათ. ლარი. გეგმა შესრულდა 100%-ით. მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლის წარჩინებულმა მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღეს სატელევიზიო გადაცემა „ეტალონში“. მუნიციპალიტეტის სკოლებს შორის ჩატარდა ინტელექტუალური თამაში რა? სად? როდის?, საპრზო ადგილებზე გასულ სკოლებს გადაწვით „ბიბლუსის“ აბონენტი წიგნების შესაძენად.

ე) ტელე-რადიო მაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა (პროგრამული კოდი 05 05)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდა მწერალთა ორგანიზაციების ხელშეწყობა და მუნიციპალიტეტის შესახებ წიგნის და ჟურნალების გამოცემა. პროგრამა 2017 წელს დაფინანსდა 24,3 ათ. ლარით. გეგმა შესრულდა 80,9%-ით.

ვ) ძეგლთა დაცვის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 05 06)

ძეგლთა დაცვის ღონისძიებების პროგრამის ფარგლებში განხორციელდა კულტურული ძეგლების მიმდებარე ტერიტორიების დასუფთავება. ღონისძიება დაფინანსდა 1,12 ათ. ლარით.

5. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 00)

2017 წელს განხორციელდა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტის, მოსახლეობისათვის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობისა და სოციალური სფეროს დაფინანსება. განხორციელდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის გარკვეული შეღავათებითა და სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფის, მოხუცებულთა, მიუსაფართა და სოციალურად დაუცველთა ფართით უზრუნველყოფის,

დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების და სხვა სოციალურ ღონისძიებები, რომლებიც უზრუნველყოფენ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

2017 წელს სოციალური პროგრამების განსახორციელებლად დაგეგმილი იყო 614,21 ათ. ლარი, შესრულებამ შეადგინა 592,12 ათ. ლარი, გეგმა შესრულდა 96,4%-ით.

ა) სოციალური პროგრამები (პროგრამული კოდი 06 02)

პროგრამა ითვალისწინებს ხანდაზმულთათვის, მარჩენალდაკარგულთათვის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე და სოციალურად დაუცველ პირთათვის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მიზნით სხვადასხვა ღონისძიებების გატარებას, როგორცაა ახალშობილთა და მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს როგორც ერთჯერად, ასევე ყოველთვიურ ფინანსურ დახმარებას, რაც ნაწილობრივ აისახება მათ სოციალურ მდგომარეობაზე. სოციალურად დაუცველ პირებზე ზრუნვა, პირველადი სამედიცინო მომსახურება, სამკურნალო-სარეაბილიტაციო ღონისძიებები და სხვა. პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად დაგეგმილი იყო 614,2 ათ. ლარი, შესრულებამ შეადგინა 592,1 ათ. ლარი, გეგმა შესრულდა 96,4%-ით.

ა.ა) საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის მებრძოლთა, ჩერნობილის სალიკვიდაციო სამუშაოებში მონაწილე შშმ შვილების სოციალური დაცვა (პროგრამული კოდი 06 02 01 01)

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლთა, ჩერნობილის ავარიის სალიკვიდაციო სამუშაოებში მონაწილე დაღუპულთა და დაინვალიდებულთა მცირეწლოვანი შვილების თანაგრძნობის გამოხატვის მიზნით თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის მოქმედებს პროგრამა რომელშიც მონაწილეობენ ომში დაღუპული და დაინვალიდებულთა მცირეწლოვანი შვილები, აგრეთვე ჩერნობილის ავარიის სალიკვიდაციო სამუშაოებში დაინვალიდებულთა მცირეწლოვანი შვილები. დახმარებას იღებს 10 ბენეფიციარი, თითოეული 150 ლარის ოდენობით.

გეგმა შესრულდა 100%-ით. ქვეპროგრამის განხორციელებისათვის დაგეგმილი იყო 14,85 ათ. ლარი, შესრულდა 14,85 ათ. ლარით.

ა.ბ) სოციალურად დაუცველ პირთა დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 01 02)

მიუხედავად ქვეყანაში სიღარიბის აღმოსაფხვრელად განხორციელებული მრავალი ღონისძიებისა ჯერ კიდევ არიან სიღარიბის მიღმა მყოფი ოჯახები და დევნილები, რომელთა სოციალური მდგომარეობა მძიმეა და სჭირდებათ ფინანსური დახმარება.

ქვეპროგრამით: სამედიცინო მომსახურების, მედიკამენტების ღირებულების თანადაფინანსებით, ერთჯერადი ფულადი დახმარებით ვცდილობთ დავეხმაროთ ასეთ მოქალაქეებს.

ქვეპროგრამაში ჩართული არიან როგორც სოციალურად დაუცველი ასევე დევნილები, მარჩენალდაკარგული, დაბალშემოსავლიანი ოჯახები.

ქვეპროგრამით ხორციელდება აგრეთვე უკიდურესად გაჭირვებული მოქალაქეების უფასო სასადილოთი მომსახურება, 2017 წლის განმავლობაში პროგრამით ისარგებლა 30 ბენეფიციარმა.

აღნიშნული ღონისძიებების დაფინანსებისათვის 2017 წელს დაგეგმილი იყო 319,5 ათ. ლარი. დაფინანსდა 301,6 ათ. ლარით, გეგმა შესრულდა 94,4%-ით.

ა.გ) სამამულო ომის მონაწილეთა, ლტოლვილთა და უპატრონო მიცვალებულთა დაკრძალვისათვის დახმარების პროგრამა (პროგრამული კოდი 06 02 03)

ქვეპროგრამა ითვალისწინებს გარდაცვლილი სამამულო ომის მონაწილეების და სამაჩაბლო-აფხაზეთის ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლთა და დევნილთა დაკრძალვის ხარჯების გაღებას. თითოეული გარდაცვლილის ოჯახზე 250 ლარის ოდენობით,

ხოლო უპატრონო მიცვალებულის დასაკრძალად 200 ლარის ოდენობით. პროგრამის მიზანია აღნიშნული ოჯახებისათვის თანაგრძნობის გამოხატვა და უპატრონო მიცვალებულების დაკრძალვისათვის შესაბამისი პატივის მიგება. ქვეპროგრამისათვის დაგეგმილი იყო 7,0 ათ. ლარი, შესრულებამ შეადგინა 4,2 ათ. ლარი.

ა.დ) ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა (პროგრამული კოდი 06 02 04)

ქვეპროგრამით გათვალისწინებულია ახალშობილთა (100 ლარი პირველ ბავშვზე და 150 ლარი მეორე ბავშვზე) დაბადებისას ოჯახების ფინანსურ დახმარება და აგრეთვე მრავალშვილიანი ოჯახები, სადაც 18 წლამდე ოთხი და მეტი ბავშვია ყოველთვიურად იღებენ ფინანსურ დახმარებას (ბავშვზე 30 ლარი). პროგრამის ფარგლებში დახმარებას იღებს 26 მრავალშვილიანი ოჯახი.

ქვეპროგრამის განსახორციელებლად დაიხარჯა 73,5 ათ. ლარი, გეგმა შესრულდა 98,9%-ით.

ა.ე.) მოქალაქეთა ტრანსპორტით მგზავრობის და კომუნალური გადასახადებზე ხელშეწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 06 02 05)

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მგზავრთა შეუფერხებელი გადაადგილებისათვის გამოყოფილია ტრანსპორტი, რომელთა საშუალებითაც ისეთ სოფლებში სადაც არ ხდება ტრანსპორტის რეგულარული მოძრაობა, მთელი წლის განმავლობაში შესაძლებელი იყოს შეუფერხებლად და კომფორტულად გადაადგილება.

ქვეპროგრამით გათვალისწინებულია აგრეთვე მკვეთრად გამოხატული შშმ პირების, დევნილების, მრავალშვილიანი ოჯახების (რომლებსაც ჰყავთ ოთხი და მეტი შვილი 18 წლის ასაკამდე), შშმ სტატუსის მქონე ბავშვების ოჯახების და საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობისათვის მეზრძოლთა მარჩენალდაკარგული ოჯახებისათვის ყოველთვიურად დახმარების სახით ელექტროენერგიის ღირებულების ანაზღაურება 8 ლარის ოდენობით. ქვეპროგრამაში ჩართულია 248 ბენეფიციარი.

2017 წელს ქვეპროგრამა დაფინანსდა 48,0 ათ. ლარით. გეგმა შესრულდა 98,8%-ით.

ა.ვ) ავადმყოფთა სოციალური დაცვა (პროგრამული კოდი 06 02 06)

დიალეზზე დამოკიდებულ ადამიანებზე ზრუნვის გამოსახატად თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტმა დააფინანსა დიალეზის პროგრამაში ჩართულ მოქალაქეებს ტრანსპორტირების ხარჯები.

2017 წლის განმავლობაში ქვეპროგრამით დაფინანსდა 24 ბენეფიციარის ტრანსპორტის ხარჯების ანაზღაურება, ქვეპროგრამისათვის გათვალისწინებული იყო 16,0 ათ. ლარი, შესრულდა 16,0 ათ. ლარი. გეგმა შესრულდა 100%-ით.

ა.ზ) დროებითი საცხოვრებლით უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 02 07)

თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ოჯახები რომლებსაც აქვთ საცხოვრებლად უვარგისი ბინები, სადაც ცხოვრება ფაქტიურად შეუძლებელია და საფრთხეს უქმნის მოქალაქეების სიცოცხლეს ან მათ ჯანმრთელობას ან საერთოდ არ გააჩნიათ საცხოვრებელი ბინები, თელავის მუნიციპალიტეტმა გაითვალისწინა რა მათი მძიმე სოციალური მდგომარეობა, გადაწყვიტა ამ ოჯახების წევრების უსაფრთხოების მიზნით მოხდეს მათი ბინის ქირით უზრუნველყოფა გარკვეულ დრომდე.

წლის განმავლობაში დახმარება გაეწია 34 ბენეფიციარს, დაგეგმილი იყო 28,3 ათ. ლარი, შესრულებამ შეადგინა 28,3 ათ. ლარი, გეგმა შესრულდა 100 %-ით.

ა.თ.) სახელმწიფო-საბიუჯეტო ორგანიზაციებში საწარმოო ტრამვის შედეგად დაზარალებულ პირთა დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 08)

ქვეპროგრამა ითვალისწინებს თელავის მუნიციპალიტეტში მცხოვრები უმძიმესი

საწარმოო ტრამვის შედეგად დაზარალებული პირებისათვის მძიმე სოციალურ-ეკონომიკური პირობების ნაწილობრივ გაუმჯობესებას.

გამომდინარე იქიდან, რომ ასეთი პირები იმსახურებენ სახელმწიფო თანადგომას და ფაქტიურად დარჩნენ შესაბამისი კომპენსაციის გარეშე, მათი მძიმე სოციალურ ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით თელავის მუნიციპალიტეტმა გადაწყვიტა, რომ აღნიშნულ პირებს ყოველთვიურად მისცეს იმ კომპენსაციის ოდენობის დახმარება, რასაც შესაბამისი უწყებიდან იღებდნენ. ქვეპროგრამით ფინანსდება ერთი ბენეფიციარი, რომელის 2017 წლის დაფინანსებამ შეადგინა 5,4 ათ. ლარი. 2017 წლის გეგმა შესრულდა 100%-ით.

ა.ი.) სადღესასწაულო დღეებთან და დაკავშირებით დახმარების პროგრამა (პროგრამული კოდი 06 02 09)

ქვეპროგრამით ხორციელდება საერო და რელიგიურ დღესასწაულებზე სხვადასხვა კატეგორიის ადამიანებისათვის ერთჯერადი ფულადი დახმარების ან საჩუქრების გადაცემა (მრავალშვილიანი დედები, უდედმამო ბავშვები, 100 წელს გადაცილებული მოხუცები, 9 აპრილს დაზარალებულები, შშმ ბავშვები, ომის მონაწილეები, სამაჩაბლო-აფხაზეთის ომში დაღუპულთა ოჯახები, დევნილები, 2008 წლის 8 აგვისტოს ომში დაღუპულთა და შშმ ოჯახები).

დაგეგმილი იყო 9,4 ათ. ლარი, შესრულებამ შეადგინა 9,4 ათ. ლარი, გეგმა შესრულდა 100%-ით.

ა.კ.) საცხოვრებლად უვარგისი, ხანძრის და სტიქიური უბედურებების შედეგად დაზარალებული ბინის მეპატონეთა დახმარების პროგრამა (პროგრამული კოდი 06 02 10)

ოჯახები რომელთაც აქვთ საცხოვრებლად უვარგისი ან ხანძრის შედეგად დაზიანებული ბინები და არიან მძიმე სოციალურ ეკონომიკურ მდგომარეობაში, თელავის მუნიციპალიტეტმა გაითვალისწინა რა მათი მძიმე მდგომარეობა, გადაწყვიტა ყოფითი პირობების გაუმჯობესების მიზნით გასცეს სამშენებლო მასალები ან ფულადი დახმარება სამშენებლო მასალების შესაძენად. დაგეგმილი იყო 71,2 ათ. ლარი, შესრულებამ შეადგინა 71,2 ათ. ლარი, გეგმა შესრულდა 100%-ით.

ა.ლ) შ.შ.მ. პირთა და ქალთა ცენტრის პროგრამა მუნიციპალიტეტში (პროგრამული კოდი 06 02 11)

ქვეპროგრამით გათვალისწინებულია შ.შ.მ.პირთა და მათი ოჯახებზე ზრუნვა, ქალთა ცენტრი მოიხიდავს და უმასპინძლებს შ.შ.მ.პ და მათი მოვლით და ზრუნვით დაკავებულ ქალებს, ასაკის შეუზღუდავად, ცენტრი ხელს შეუწყობს მათ ინტეგრაციას საზოგადოებაში. შედგა სხვადასხვა შეხვედრის ორგანიზება, სადაც ტრენინგ სემინარები გამართეს სოციოლოგებმა, ფსიქოლოგებმა, ექიმებმა, გაჭირვებულ და სოც. დაუცველ შშმ პირების ოჯახებს დაუფინანსდათ წამლები და საჭირო ნივთები. ჩატარდა სხვადასხვა აქციები და ღონისძიებები, რაც ემსახურებოდა შშმ პირთა დედათა და ბავშვთა რეაბილიტაციას და საზოგადოებაში ჩართულობას. პროექტის განხორციელებისათვის დაგეგმილი იყო 9,1 ათ. ლარი, შესრულებამ შეადგინა 9,1 ათ. ლარი, გეგმა შესრულდა 100%-ით.

ა.მ) ხანდაზმულთა სოციალური დაცვა (პროგრამული კოდი 06 02 12)

ქვეპროგრამით განხორციელდა თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის და საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების ერთობლივი პროგრამა ხანდაზმულთა სათემო ცენტრი იყვანოში“ თანადაფინანსება, პროგრამის მიზანია ხანდაზმულთა პრობლემების გამოვლენის და იდენტიფიცირების გარდა, მოახდინოს მათი ინტეგრირება და საზოგადოებაში დისკრიმინაციული ჯგუფების დაბრუნება, პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ხანდაზმულთა ჩართულობა სხვადასხვა სოციალური პროექტებში, ბინაზე დაფუძნებული მომსახურეობის მიწოდება (ბინაზე ვიზიტები, კონსულტაციები, ზრუნვა და დახმარება) საჭიროებისა და შესაძლებლობის მიხედვით და სხვა აქტივობები, პროგრამის მოსარგებლე პირები იქნებიან 60-65 წელს ზემოთ, ოჯახურ მხარდაჭერას მოკლებული ხანდაზმულები, რომლებიც ცხოვრობენ სახელმწიფო პენსიაზე და შემწეობაზე.

იყალბოს ფილიალს ყავს 20 აქტიური მოხალისე (12 ბიჭი, 8 გოგონა), რომლებიც შეძლებისდაგვარად ეხმარებიან მარტოხელა ბენეფიციარებს.

2017 წელს პროექტის თანადაფინანსებისათვის განსაზღვრული იყო 8,8 ათ. ლარი, გეგმა შესრულდა 100%-ით.

ა.ნ) ვეტერანთა საზოგადოება (პროგრამული კოდი 06 02 13)

ქვეპროგრამა ითვალისწინებს ომის მონაწილეების, შრომისა და სამხედრო ვეტერანთათვის სხვადასხვა სახის ღონისძიების დაფინანსებას. 2017 წელს დაფინანსდა 1,8 ათ. ლარით.

პროგ. კოდი	თელავის მუნიციპალიტეტი	2017 წლის გეგმა			2017 წლის ფაქტი		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლ ები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლე ბი
	სულ ჯამი	12 034,22	3 375,3	8 658,92	11 618,18	3 057,75	8 560,43
	ხარჯები	6 877,9	21,8	6 856,1	6 805,8	13,81	6 791,99
	შრომის ანაზღაურება	1 304,4	0,0	1 304,4	1 304,4	0,00	1 304,36
	არაფინანსური აქტივების ზრდა	5 028,3	3 353,5	1 674,8	4 684,4	3 043,94	1 640,44
	ვალდებულებების კლება	128,0	0,0	128,0	128,0	0,00	128,01
01 00	წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	2 228,0	0,0	2 228,0	2 224,0	0,00	2 223,98
	ხარჯები	2 077,5	0,0	2 077,5	2 073,5	0,00	2 073,46
	შრომის ანაზღაურება	1 234,9	0,0	1 234,9	1 234,9	0,00	1 234,95
	არაფინანსური აქტივების ზრდა	34,2	0,0	34,2	34,2	0,00	34,16
	ვალდებულებების კლება	116,4	0,0	116,4	116,4	0,00	116,37
01 01	მუნიციპალიტეტის საკრებულო	512,6	0,0	512,6	511,7	0,00	511,72
	ხარჯები	511,6	0,0	511,6	510,7	0,00	510,72
	შრომის ანაზღაურება	279,0	0,0	279,0	279,0	0,00	278,97
	ვალდებულებების კლება	1,0	0,0	1,0	1,0	0,00	1,0
01 02	მუნიციპალიტეტის გამგეობა	1 567,0	0,0	1 567,0	1 563,8	0,00	1 563,80
	ხარჯები	1 532,7	0,0	1 532,7	1 529,5	0,00	1 529,54
	შრომის ანაზღაურება	956,0	0,0	956,0	956,0	0,00	955,98
	არაფინანსური აქტივების ზრდა	34,2	0,0	34,2	34,2	0,00	34,16
01 03	სარეზერვო ფონდი	0,0	0,0	0,0	0,000	0,00	0,00

პროგ. კოდი	თელავის მუნიციპალიტეტი	2017 წლის გეგმა			2017 წლის ფაქტი		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლ ები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლე ბი
	ხარჯები	0,0	0,0	0,0	0,0	0,00	0,00
01 07	დავალიანების დაფარვა	148,5	0,0	148,5	148,5	0,0	148,5
	ხარჯები	33,2	0,0	33,2	33,2	0,0	33,2
	ვალდებულებების კლება	115,3	0,0	115,3	115,3	0,0	115,3
01 07 02	მგვ-ის და სხვა ვალდებულებების დაფარვა	148,5	0,0	148,5	148,5	0,00	148,46
	ხარჯები	33,2	0,0	33,2	33,2	0,00	33,20
	ვალდებულებების კლება	115,3	0,0	115,3	115,3	0,00	115,27
02 00	თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	174,8	0,0	174,8	160,1	0,00	160,05
	ხარჯები	118,9	0,0	118,9	116,9	0,00	116,91
	შრომის ანაზღაურება	69,4	0,0	69,4	69,4	0,00	69,41
	არაფინანსური აქტივების ზრდა	55,9	0,0	55,9	43,1	0,0	43,1
02 03	საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების ხელშეწყობა	43,1	0,0	43,1	43,1	0,0	43,1
	არაფინანსური აქტივების ზრდა	43,1	0,0	43,1	43,1	0,00	43,1
02 02	ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა	131,7	0,0	131,7	116,9	0,00	116,91
	ხარჯები	118,9	0,0	118,9	116,9	0,00	116,91
	შრომის ანაზღაურება	69,4	0,0	69,4	69,4	0,00	69,41
	არაფინანსური აქტივების ზრდა	12,7	0,0	12,7	0,0	0,00	0,0
03 00	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	5 606,36	3 375,3	2 231,1	5 248,26	3 057,75	2 190,51
	ხარჯები	1 295,3	21,8	1 273,5	1 266,4	13,81	1 252,55
	არაფინანსური აქტივების ზრდა	4 310,0	3 353,5	956,5	3 980,8	3 043,94	936,88
	ვალდებულებების კლება	1,1	0,0	1,1	1,1	0,0	1,1
03 01	საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	3 223,47	2 913,6	309,9	3 004,61	2 704,48	300,12
	ხარჯები	68,1	0,0	68,1	68,1	0,00	68,06
	არაფინანსური აქტივების ზრდა	3 155,4	2 913,6	241,9	2 936,5	2 704,48	232,07
03 02	კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	2 193,23	400,8	1 792,5	2 079,25	310,15	1 769,09

პროგ. კოდი	თელავის მუნიციპალიტეტი	2017 წლის გეგმა			2017 წლის ფაქტი		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლ ები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლე ბი
	ხარჯები	1 126,0	0,0	1 126,0	1 107,7	0,00	1 107,67
	არაფინანსური აქტივების ზრდა	1 067,2	400,8	666,5	971,6	310,15	661,43
03 02 02	წყლის სისტემების მოწყობა- რეაბილიტაციის ღონისძიებები	1 414,44	365,4	1 049,0	1 341,46	301,75	1 039,71
	ხარჯები	572,9	0,0	572,9	568,6	0,00	568,56
	არაფინანსური აქტივების ზრდა	841,5	365,4	476,1	772,9	301,75	471,15
03 02 03	გარე განათების მოწყობა- რეაბილიტაციის ღონისძიებები	468,05	35,4	432,7	440,85	8,40	432,45
	ხარჯები	322,5	0,0	322,5	322,3	0,00	322,26
	არაფინანსური აქტივების ზრდა	145,6	35,4	110,2	118,6	8,40	110,19
03 02 04	გარემოს დაცვითი ღონისძიებები	310,74	0,0	310,7	296,94	0,0	296,9
	ხარჯები	230,6	0,0	230,6	216,9	0,0	216,9
	არაფინანსური აქტივების ზრდა	80,1	0,0	80,1	80,1	0,0	80,1
03 02 04 01	დასუფთავების ღონისძიებები	230,00	0,0	230,0	216,85	0,00	216,85
	ხარჯები	230,0	0,0	230,0	216,9	0,00	216,85
03 02 04 02	ჩამდინარე წყლების სისტემის მოწყობა-რეაბილიტაციისა და ექსპლუატაციის ღონისძიებები	80,74	0,0	80,7	80,09	0,00	80,09
	ხარჯები	0,6	0,0	0,6	0,0	0,00	0,00
	არაფინანსური აქტივების ზრდა	80,1	0,0	80,1	80,1	0,00	80,09
03 03	მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები	128,68	0,0	128,7	121,29	0,0	121,3
	ხარჯები	79,4	0,0	79,4	76,8	0,0	76,8
	არაფინანსური აქტივების ზრდა	48,2	0,0	48,2	43,4	0,0	43,4
	ვალდებულებების კლება	1,1	0,0	1,1	1,1	0,0	1,1
03 03 02	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კეთილმოწყობის სამუშაოები	128,68	0,0	128,7	121,29	0,00	121,29
	ხარჯები	79,4	0,0	79,4	76,8	0,00	76,83
	არაფინანსური აქტივების ზრდა	48,2	0,0	48,2	43,4	0,00	43,4
	ვალდებულებების კლება	1,1	0,0	1,1	1,1	0,00	1,1

პროგ. კოდი	თელავის მუნიციპალიტეტი	2017 წლის გეგმა			2017 წლის ფაქტი		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
03 04	სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებები	60,98	61,0	0,0	43,11	43,11	0,00
	ხარჯები	21,8	21,8	0,0	13,8	13,81	0,00
	არაფინანსური აქტივების ზრდა	39,2	39,2	0,0	29,3	29,30	0,0
03 05	მაწანწალა ცხოველებისგან მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის ღონისძიებები	0,0	0,0	0,0	0,0	0,00	0,00
	ხარჯები	0,0	0,0	0,0	0,0	0,00	0,00
04 00	განათლება	2 031,1	0,0	2 031,1	2 029,1	0,0	2 029,1
	ხარჯები	1 655,1	0,0	1 655,1	1 655,1	0,0	1 655,1
	არაფინანსური აქტივების ზრდა	374,2	0,0	374,2	372,3	0,0	372,3
	ვალდებულებების კლება	1,7	0,0	1,7	1,7	0,0	1,7
04 01	სკოლამდელი განათლება	2 027,7	0,0	2 027,7	2 025,7	0,0	2 025,7
	ხარჯები	1 651,7	0,0	1 651,7	1 651,7	0,0	1 651,7
	არაფინანსური აქტივების ზრდა	374,2	0,0	374,2	372,3	0,0	372,3
	ვალდებულებების კლება	1,7	0,0	1,7	1,7	0,0	1,7
04 01 01	აიპ თელავის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების გაერთიანება	1 656,7	0,0	1 656,7	1 655,2	0,00	1 655,23
	ხარჯები	1 649,0	0,0	1 649,0	1 649,0	0,00	1 648,97
	არაფინანსური აქტივების ზრდა	6,0	0,0	6,0	4,5	0,00	4,53
	ვალდებულებების კლება	1,7	0,0	1,7	1,7	0,00	1,7
04 01 02	სკოლამდელი აღზრდის საგანმანათლებლო ღონისძიებები	370,9	0,0	370,9	370,5	0,00	370,47
	ხარჯები	2,7	0,0	2,7	2,7	0,00	2,70
	არაფინანსური აქტივების ზრდა	368,2	0,0	368,2	367,8	0,00	367,8
04 02	საგანმანათლებლო ღონისძიებები	3,4	0,0	3,4	3,4	0,0	3,4
	ხარჯები	3,4	0,0	3,4	3,4	0,00	3,4
05 00	კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები	1 379,7	0,0	1 379,7	1 364,7	0,00	1 364,65

პროგ. კოდი	თელავის მუნიციპალიტეტი	2017 წლის გეგმა			2017 წლის ფაქტი		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლ ები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლ ები
	ხარჯები	1 125,0	0,0	1 125,0	1 110,0	0,00	1 110,00
	არაფინანსური აქტივების ზრდა	254,0	0,0	254,0	254,0	0,00	253,96
	ვალდებულებების კლება	0,7	0,0	0,7	0,7	0,0	0,7
05 01	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	652,9	0,0	652,9	651,3	0,00	651,34
	ხარჯები	453,8	0,0	453,8	452,3	0,00	452,29
	არაფინანსური აქტივების ზრდა	199,0	0,0	199,0	199,0	0,00	199,05
05 01 01	სპორტული და დასვენების ღონისძიებების ხელშეწყობა	209,7	0,0	209,7	209,5	0,00	209,50
	ხარჯები	13,0	0,0	13,0	12,8	0,00	12,85
	არაფინანსური აქტივების ზრდა	196,7	0,0	196,7	196,7	0,00	196,7
05 01 02	სპორტული ორგანიზაციების ხელშეწყობა	443,2	0,0	443,2	441,8	0,0	441,8
	ხარჯები	440,8	0,0	440,8	439,4	0,0	439,4
	არაფინანსური აქტივების ზრდა	2,4	0,0	2,4	2,4	0,0	2,4
05 01 02 01	ააიპ თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის სასპორტო გაერთიანება	443,2	0,0	443,2	441,8	0,00	441,84
	ხარჯები	440,8	0,0	440,8	439,4	0,00	439,4
	არაფინანსური აქტივების ზრდა	2,4	0,0	2,4	2,4	0,00	2,40
05 02	კულტურის განვითარების ხელშეწყობა	682,3	0,0	682,3	675,1	0,0	675,1
	ხარჯები	627,4	0,0	627,4	620,2	0,0	620,2
	არაფინანსური აქტივების ზრდა	54,9	0,0	54,9	54,9	0,0	54,9
05 02 01	კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა	46,0	0,0	46,0	46,0	0,0	46,0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	46,0	0,0	46,0	46,0	0,00	46,0
05 02 02	კულტურის ორგანიზაციების ხელშეწყობა	636,3	0,0	636,3	629,1	0,0	629,1
	ხარჯები	627,4	0,0	627,4	620,2	0,0	620,2
	არაფინანსური აქტივების ზრდა	8,9	0,0	8,9	8,9	0,0	8,9
05 02 02 01	ააიპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ აკურის სამუსიკო სკოლა	48,8	0,0	48,8	48,7	0,00	48,67

პროგ. კოდი	თელავის მუნიციპალიტეტი	2017 წლის გეგმა			2017 წლის ფაქტი		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
	ხარჯები	48,8	0,0	48,8	48,7	0,00	48,67
05 02 02 02	ააიპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ რუსპირის სამუსიკო სკოლა	54,7	0,0	54,7	54,6	0,00	54,64
	ხარჯები	54,7	0,0	54,7	54,6	0,00	54,64
05 02 02 03	ააიპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ წინანდლის სამუსიკო სკოლა	105,6	0,0	105,6	105,4	0,00	105,42
	ხარჯები	105,6	0,0	105,6	105,4	0,00	105,42
05 02 02 04	ააიპ თელავის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი	317,2	0,0	317,2	310,7	0,00	310,68
	ხარჯები	314,3	0,0	314,3	307,8	0,00	307,80
05 02 02 05	ააიპ თელავის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანება	110,0	0,0	110,0	109,7	0,00	109,68
	ხარჯები	104,0	0,0	104,0	103,7	0,00	103,68
	არაფინანსური აქტივების ზრდა	6,0	0,0	6,0	6,0	0,00	6,00
05 03	საზოგადოებრივი და ახალგაზრდული ორგანიზაციების ხელშეწყობა	12,8	0,0	12,8	12,8	0,00	12,80
	ხარჯები	12,1	0,0	12,1	12,1	0,00	12,10
	ვალდებულებების კლება	0,7	0,0	0,7	0,7	0,00	0,7
05 05	ტელე-რადიო მაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა	30,0	0,0	30,0	24,3	0,00	24,28
	ხარჯები	30,0	0,0	30,0	24,3	0,00	24,28
05 06	ძეგლთა დაცვის ღონისძიებები	1,8	0,0	1,8	1,1	0,00	1,12
	ხარჯები	1,8	0,0	1,8	1,1	0,00	1,12
06 00	მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	614,2	0,00	614,21	592,1	0,00	592,12
	ხარჯები	606,1	0,00	606,07	584,0	0,00	583,98
	ვალდებულებების კლება	8,1	0,0	8,1	8,1	0,0	8,1
06 02	სოციალური პროგრამები	614,2	0,0	614,2	592,1	0,0	592,1
	ხარჯები	606,1	0,0	606,1	584,0	0,0	584,0
	ვალდებულებების კლება	8,1	0,0	8,1	8,1	0,0	8,1

პროგ. კოდი	თელავის მუნიციპალიტეტი	2017 წლის გეგმა			2017 წლის ფაქტი		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
06 02 01	სოციალურად დაუცველი მოსახლეობის დახმარება	334,3	0,0	334,3	316,5	0,0	316,5
	ხარჯები	326,3	0,0	326,3	308,4	0,0	308,4
	ვალდებულებების კლება	8,0	0,0	8,0	8,0	0,0	8,0
06 02 01 01	საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის მებრძოლთა, ჩერნობილის სალიკვიდაციო სამუშაოებში მონაწილე შშმ შვილების სოციალური დაცვა	14,9	0,0	14,9	14,9	0,00	14,85
	ხარჯები	14,9	0,0	14,9	14,85	0,00	14,85
06 02 01 02	სოციალურად დაუცველ პირთა დახმარება	319,5	0,0	319,5	301,6	0,00	301,63
	ხარჯები	311,5	0,0	311,5	293,6	0,00	293,591
	ვალდებულებების კლება	8,0	0,0	8,0	8,0	0,00	8,0
06 02 03	სამამულო ომის მონაწილეთა, ლტოლვილთა და უპატრონო მიცვალებულთა დაკრძალვის ხარჯები	7,0	0,0	7,0	4,2	0,00	4,15
	ხარჯები	7,0	0,0	7,0	4,2	0,00	4,15
06 02 04	ოჯახებისა და ბავშვთა სოციალური დაცვა	74,3	0,0	74,3	73,5	0,00	73,49
	ხარჯები	74,2	0,0	74,2	73,4	0,00	73,39
	ვალდებულებების კლება	0,1	0,0	0,1	0,1	0,00	0,1
06 02 05	მოქალაქეთა ტრანსპორტით მგზავრობის და კომუნალური გადასახადების თანადაფინანსების პროგრამა	48,6	0,0	48,6	48,0	0,00	47,99
	ხარჯები	48,6	0,0	48,6	48,0	0,00	47,99
06 02 06	ავადმყოფთა სოციალური დაცვა	16,0	0,0	16,0	16,0	0,00	16,03
	ხარჯები	16,0	0,0	16,0	16,0	0,00	16,03
06 02 07	დროებით საცხოვრებელით უზრუნველყოფა	28,3	0,0	28,3	28,3	0,00	28,32
	ხარჯები	28,3	0,0	28,3	28,3	0,00	28,32
06 02 08	სახელმწიფო-საბიუჯეტო ორგანიზაციებში საწარმოო ტრანზის შედეგად დაზარალებულ პირთა დახმარება	5,4	0,0	5,4	5,4	0,00	5,40

პროგ. კოდი	თელავის მუნიციპალიტეტი	2017 წლის გეგმა			2017 წლის ფაქტი		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლ ები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლე ბი
	ხარჯები	5,4	0,0	5,4	5,4	0,00	5,40
06 02 09	სადღესასწაულო დღეებთან დაკავშირებით დახმარების პროგრამა	9,4	0,0	9,4	9,4	0,00	9,42
	ხარჯები	9,4	0,0	9,4	9,4	0,00	9,42
06 02 10	საცხოვრებლად უვარგისი, ხანძრის და სტიქიური უბედურებების შედეგად დაზარალებული ბინის მეპატონეთა დახმარების პროგრამა	71,2	0,0	71,2	71,2	0,00	71,18
	ხარჯები	71,2	0,0	71,2	71,2	0,00	71,18
06 02 11	სოფლად შ.შ.მ. პირთა და ქალთა ცენტრის დახმარების პროგრამა	9,1	0,0	9,1	9,1	0,00	9,08
	ხარჯები	9,1	0,0	9,1	9,1	0,00	9,08
06 02 12	ხანდაზმულთა სოციალური დაცვა	8,8	0,0	8,8	8,8	0,00	8,78
	ხარჯები	8,8	0,0	8,8	8,8	0,00	8,78
06 02 13	ვეტერანთა საზოგადოება	1,8	0,0	1,8	1,8	0,00	1,80
	ხარჯები	1,8	0,0	1,8	1,8	0,00	1,80

სულ გადასახდელების დაზუსტებული გეგმა (მ.შ. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერების და ვალდებულებების კლების მუხლის გათვალისწინებით) შეადგენდა - 12034,22 ათ.ლარს, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 11618,18 ათ.ლარი, გეგმა შესრულდა 96,54%-ით. საკუთარი შემოსულობების გათვალისწინებით გადასახდელების დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 8658,92 ათ.ლარს, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 8560,43 ათ.ლარი, გეგმა შესრულდა 98,86%-ით.

თელავის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდის ხარჯვის ანგარიში

2017 წელს თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით სარეზერვო ფონდიდან გაიხარჯა 51,65231 ათასი ლარი გამგებლის მიერ გამოცემული ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტის - ბრძანების საფუძველზე შემდეგი საჭიროების მიხედვით:

- 1,7 ათასი ლარი – ვაჩე ზურას ძე ზაზაშვილის იტალიაში ქ. პეზაროში კლასიკური მუსიკის კონკურს „მომავლის ვარსკვლავები 2017“-ში მონაწილეობის დაფინანსების მიზნით (ბრძ. N307, 13,04,2017 წ.).

5. 16,94084 ათ. ლარი - სოფ. ვარდისუბანში ჭარბი ნალექის შედეგების პრევენციის მიზნით (ბრძ. N587, 03,05,2017წ).
6. 1,0 ათ. ლარი - 14 მაისს ფშაველი-ომალის საავტომობილო გზის რეაბილიტაციის დროს ზვავის ჩამოწოლის შედეგად გარდაცვლილი სპარტაკ ბუჟაიძის დაკრძალვისათვის (ბრძ. N411, 16,05,2017წ).
7. 0,728 ათ. ლარი - სოფ. ფშაველაში მცხოვრებ ნინო ჩაფურიშვილის საცხოვრებელი სახლის სახურავის შესაკეთებლად (ბრძ. N425, 19,05,2017წ).
8. 2,7 ათ. ლარი - სოფ. ქვ. ხოდაშენში სასმელი წყლის ახალი რეზერვუარის სამონტაჟო სამუშაოებისათვის (ბრძ. N503, 12,06,2017წ).
9. 2,569 ათ. ლარი - სოფ. წინანდალში მცხოვრებ ლალი იაკოფაშვილის საცხოვრებელი სახლის სახურავის გადასახურად (ბრძ. N738 04,07,2017წ).
10. 0,5 ათ. ლარი - სოფ. ქვ. ხოდაშენში მცხოვრები ავტოკატასტროფაში დაღუპული ზაქარია ახვერდაშვილის დაკრძალვისათვის (ბრძ. N745 06,07,2017წ).
11. 1,39389 ათ. ლარი - სოფ. აკურაში მცხოვრებ მარიამ ქვეხიშვილის საცხოვრებელი სახლის სახურავის გადასახურად (ბრძ. N789, 17,07,2017წ).
12. 13,0 ათ. ლარი - სოფ. ყარაჯალაში მცხოვრებ მალხაზ იბრაგიმ ოღლის ხანძრის შედეგად დაზიანებული საცხოვრებელი სახლის სახურავის გადასახურად (ბრძ. N831 26,07,2017წ).
13. 4,93358 ათ. ლარი - სოფ.თეთრწყლებში სათიბ-სამოვრებისაკენ მისასვლელი გზის რეაბილიტაციის მიზნით (ბრძ. N889, 07,08,2017წ).
14. 2,7 ათ. ლარი - სოფ. კურდღელაურში სტიქიის შედეგად დაზიანებული საცხოვრებელი სახლების სახურავების შესაკეთებლად (ბრძ. N1052, 14,09,2017წ).
15. 2,387 ათ. ლარი - სოფ. ართანში ხანძრის სალიკვიდაციო სამუშაოებში მონაწილე მეხანძრეთათვის სასტუმროს და კვების ხარჯების ანაზრაულება (ბრძ. N1091, 21,09,2017წ).
16. 1,1 ათ. ლარი - სოფ. ართანის ტყეში 2017 წლის სექტემბერში გაჩენილი ხანძრის ლოკალიზაციის ღონისძიებაში მონაწილე პირებზე 100-100 ლარის გამოყოფის შესახებ (ბრძ. N1252, 08,11,2017წ).

თელავის მუნიციპალიტეტის მიერ 2017 წლის წინა პერიოდში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფის შესახებ ანგარიში

2017 წელს, თელავის მუნიციპალიტეტის მიერ წინა პერიოდში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფიდან გაიხარჯა 148,46 ათ. ლარი, (გეგმა შესრულდა 100 %-ით) საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ თელავის მუნიციპალიტეტში წინა წლებში განხორციელებული საინვესტიციო პროექტებისათვის თელავის მუნიციპალიტეტს და საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდს შორის გაფორმებული სასესხო ხელშეკრულების შესაბამისად.

დასახელება	2017 წლის დაზუსტებული გეგმა	2017 წლის ფაქტი
------------	-----------------------------------	-----------------

წინა პერიოდში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფა	148,5	148,5
ხარჯები	33,2	33,2
ვალდებულებების კლება	115,3	115,3


ნაშთის შესახებ

2017 წლის 01 იანვრისათვის ქალაქ თელავის მუნიციპალიტეტის ნაშთი შეადგენდა 1498,78 ათ. ლარს. (აქედან 220,43 ათ.ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერიდან ნაშთი, 1278,35 ათ.ლარი ადგილობრივი ბიუჯეტიდან ნაშთი);

2017 წლის 01 იანვრისათვის თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის ნაშთი შეადგენდა 1564,66 ათას ლარს, (აქედან 96,34 ათ.ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერიდან ნაშთი, 1468,32 ათ.ლარი ადგილობრივი ბიუჯეტიდან ნაშთი);

საქართველოს მთავრობის 20 ოქტომბრის N471 დადგენილების, 2017 წელს შექმნილი მუნიციპალიტეტების დროებითი ბიუჯეტების შედგენის წესის დამტკიცების შესახებ, თანახმად 2018 წლის 01 იანვრისათვის თელავის მუნიციპალიტეტის ნაშთმა შეადგინა - 3689.79 ათ. ლარი (აქედან 1361,21 ათ.ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერიდან ნაშთი, 2328,59 ათ.ლარი ადგილობრივი ბიუჯეტიდან ნაშთი);

საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის
უფროსი



ნათია ვაყელიშვილი